

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
მედიცინის ფაკულტეტი

ნათია დვალი

ადამიანის იმუნოდეფიციტის ვირუსის გენეტიკური ტიპების და რეზისტენტული  
შტამების გავრცელება საქართველოში

მედიცინის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად  
წარმოდგენილი დისერტაცია

სამეცნიერო ხელმძღვანელები: თენგიზ ცერცვაძე, ივანე ჯავახიშვილის სახელობის  
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიცინის  
ფაკულტეტის ინფექციური დაავადებების და  
კლინიკური იმუნოლოგიის დეპარტამენტის  
სრული პროფესორი

ლალი შარვაძე, ივანე ჯავახიშვილის სახელობის  
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიცინის  
ფაკულტეტის ინფექციური დაავადებების და  
კლინიკური იმუნოლოგიის დეპარტამენტის  
ასოცირებული პროფესორი



თბილისი, 2015

## შინაარსი

შესავალი.....	4
თემის აქტუალობა .....	4
მიზანი .....	6
ძირითადი ამოცანები.....	6
სამეცნიერო სიახლე და პრაქტიკული ღირებულება.....	6
გამოქვეყნებული შრომები .....	8
ლიტერატურის მიმოხილვა .....	8
აივ-ის სტრუქტურა და სასიცოცხლო ციკლი.....	9
აივ-ის გენეტიკური მრავალფეროვნება ერთი მასპინძლის დონეზე .....	12
აივ-ის რეკომბინაცია და გენეტიკური მრავალფეროვნება პოპულაციურ დონეზე .....	14
აივ-ის სუბტიპების და რეკომბინანტული ფორმების გავრცელება მსოფლიოში.....	17
აივ/შიდსი მსოფლიოში .....	18
აივ/შიდსი საქართველოში .....	19
ანტირეტროვირუსული (არვ) მკურნალობა.....	21
აივ-ის რეზისტენტობა ანტირეტროვირუსული პრეპარატების მიმართ .....	24
მასალა და მეთოდები.....	27
საკვლევი პოპულაცია .....	27
აივ-1-ის გენოტიპირება .....	28
სინჯების მომზადება გენოტიპირებისათვის .....	28
ვირისული რნმ-ის ექსტრაქცია.....	28
აივ-1-ის გენოტიპირება TruGene HIV-1 Genotyping Kit - ის გამოყენებით OpenGene DNA Sequencing სისტემაზე .....	29
აივ-1-ის გენოტიპირება ViroSeq HIV-1 Genotyping System v2.0 - ის გამოყენებით კაპილარულ სექვენატორ ABI xL3500 -ზე .....	37
ხარისხის კონტროლი.....	47
აივ -1 -ის სუბტიპის პირველადი შეფასება.....	47
ფილოგენეტიკური ანალიზი .....	50
სტატისტიკური ანალიზი.....	52
ეთიკური კომისიის ნებართვა .....	53
კვლევის შედეგები.....	53
მასალის დახასიათება.....	53
აივ-1-ის მოლეკულური ეპიდემიოლოგია საქართველოში .....	55

აივ-1-ის "გადაცემის კლასტერების" დახასიათება (ფილოგენეტიკური ანალიზი) .....	59
პირველადი/გადაცემული რეზისტენტობის გავრცელება საქართველოში .....	65
აივ-1-ის რეზისტენტობის პროფილის დახასიათება .....	65
განხილვა .....	68
დასკვნები და პრაქტიკული რეკომენდაციები .....	73
დასკვნა 1.....	73
დასკვნა 2.....	73
დასკვნა 3.....	74
დასკვნა 4.....	74
გამოყენებული ლიტერატურა .....	76
დანართი 1. ინგლისური რეზიუმე .....	91
დანართი 2. გამოქვეყნებული შრომები .....	100

## შესავალი

### თემის აქტუალობა

აივ/შიდსი საზოგადოებრივი ჯანდაცვის გლობალური პრობლემაა. გაერთიანებული ერების აივ/შიდსის ერთობლივი პროგრამის (UNAIDS) მონაცემებით 2013 წელს მსოფლიოში ადამიანის იმუნოდეფიციტის ვირუსით (აივ) ინფიცირებული იყო 35 მილიონი ადამიანი. 2013 წელს მსოფლიოში სულ დაინფიცირდა 2.1 მილიონი ადამიანი. (UNAIDS, 2014) ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის (WHO) მონაცემებით სიკვდილობის წამყვან მიზეზებს შორის აივ/შიდსი მე-6 ადგილზეა მსოფლიოში, ხოლო დაბალი შემოსავლების ქვეყნებში ის სიკვდილის მეორე წამყვანი მიზეზია. (World Health Organization, 2014. ) 2014 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საქართველოში რეგისტრირებულია აივ/შიდსის 4 697 შემთხვევა.

ანტირეტროვირუსული (არვ) პრეპარატების გამოყენებამ მნიშვნელოვნად შეამცირა აივ/შიდსთან დაკავშირებული ავადობა და სიკვდილობა და გაზარდა სიცოცხლის ხანგრძლივობა. (Hammer et al., 1997; Mocroft et al., 2003; Palella et al., 1998; Sterne et al., 2005) მკურნალობის ეფექტურობაზე შეიძლება ნეგატიური გავლენა იქონიოს აივ-ის რეზისტენტობამ ანტირეტროვირუსული პრეპარატების მიმართ, რაც მკურნალობის უეფექტობის საკმაოდ ხშირი მიზეზია. (Bannister et al., 2011; Cozzi-Lepri et al., 2012; D'Aquila et al., 1995; Gupta, Hill, Sawyer, & Pillay, 2008; Japour et al., 1995; Kozal, Shafer, Winters, Katzenstein, & Merigan, 1993; Mtambo et al., 2012; von Wyl et al., 2009) წამლების მიმართ რეზისტენტობა შეიძლება განვითარდეს მკურნალობის დროს, ან პაციენტი შეიძლება დაინფიცირდეს რეზისტენტული ვირუსით. (Hogg et al., 2006; Palella et al., 2009; Tang & Shafer, 2012) მკურნალობის უეფექტობა ანტირეტროვირუსული პრეპარატების მიმართ აივ-ის რეზისტენტობის გამო პრობლემას წარმოადგენს საქართველოში, რომელმაც ისევე როგორც მთელს მსოფლიოში თავი იჩინა ანტირეტროვირუსული პრეპარატების ხელმისაწვდომობის ზრდასთან ერთად. (Pillay et al., 2005; Richman et al., 2004; Tamalet, Fantini, Tourres, & Yahi, 2003)

წამლების მიმართ რეზისტენტობის სურათი - რეზისტენტობის პროფილი - შეიძლება განსხვავებული იყოს აივ-ის სხვადასხვა სუბტიპისათვის, რაც

გათვალისწინებული უნდა იქნას არც მკურნალობის სწორი რეჟიმის შერჩევისათვის. (Brenner et al., 2003; Grossman et al., 2004; Palma et al., 2012; Tang & Shafer, 2012)

აივ-ის ანტირეტროვირუსული პრეპარატების მიმართ რეზისტენტობის კვლევების უმრავლესობა ეხება ვირუსის B სუბტიპს. განვითარებადი ქვეყნების უმრავლესობაში კი დომინირებს ვირუსის სხვა, ე.წ. არა-B სუბტიპები და ამ ქვეყნებში ანტირეტროვირუსული პრეპარატები ხდება ფართოდ ხელმისაწვდომი. აივ-ის სუბტიპების გავრცელება საქართველოში არ არის ფართოდ შესწავლილი. ამერიკელ კოლეგებთან ერთად ინფექციური პათოლოგიის, შიდსისა და კლინიკური იმუნოლოგიის სამეცნიერო - პრაქტიკული ცენტრის მიერ 1998 -2003 წლებში ჩატარებულმა მცირე მასშტაბიანმა კვლევამ აჩვენა, რომ საქართველოში ყველაზე გავრცელებულია აივ-1-ის სუბტიპი A (70%), რომლის გარდა ქვეყანაში ასევე ცირკულირებს სუბტიპები B, C, CRF18\_cpx. (Zarandia et al., 2006) ამ კვლევამ ასევე აჩვენა პირველადი რეზისტენტობის 4%-იანი მაჩვენებელი. თუმცა აღსანიშნავია, რომ კვლევაში ჩართული იყო მხოლოდ 48 აივ/შიდსით ავადმყოფი, რაც რა თქმა უნდა ვერ იძლევა სიტუაციის სრულყოფილ სურათს. გარდა ამისა, კვლევის ჩატარების შემდგომ ქვეყანაში მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა, როგორც ეპიდემიის განვითარების, ისე საპასუხო ღონისძიებების გაძლიერების კუთხით. ასე მაგალითად, 2003 წელთან შედარებით მნიშვნელოვნად იმატა სქესობრივი გზით ინფიცირების შემთხვევებმა, ხოლო ნარკოტიკების ინიექციური მოხმარებით ინფიცირების შემთხვევების ხვედრითი წილი ყოველწლიურად კლებულობს. ამ ცვლილებას შესაძლოა ზეგავლენა მოეხდინა ქვეყანაში მოცირკულირე აივ სუბტიპების განაწილებაზე.

2004 წლიდან საქართველომ პირველმა და ჯერ-ჯერობით ერთადერთმა აღმოსავლეთ ევროპის რეგიონში უზრუნველყო არც მკურნალობაზე უნივერსალური ხელმისაწვდომობა. ამას უდიდეს მნიშვნელობა აქვს აივ რეზისტენტობის გავრცელების კუთხით, როგორც ნამკურნალებ, ისე არანამკურნალებ პოპულაციებში. დასაბუთებულია, რომ აივ რეზისტენტობის გავრცელების მთავარი მიზეზი სწორედ არც მკურნალობის დროს აღმოცენებული რეზისტენტობაა. (Blower, Aschenbach, Gershengorn, & Kahn, 2001)

ამ გარემოებების გათვალისწინებით გამოიკვეთა საქართველოში აივ-ის მოლეკულური ეპიდემიოლოგიის და რეზისტენტული შტამების გავრცელების შესწავლის საჭიროება.

## **მიზანი**

ადამიანის იმუნოდეფიციტის ვირუსის (აივ-1) გენეტიკური ტიპების და რეზისტენტული შტამების გავრცელების შესწავლა საქართველოში.

## **ძირითადი ამოცანები**

1. აივ-1-ის მოლეკულური ეპიდემიოლოგიის შესწავლა საქართველოში და ტენდენციების შეფასება 2006-2013 წწ. პერიოდში
2. აივ-1-ის "გადაცემის კლასტერების" ფილოგენეტიკური ანალიზი
3. აივ-1-ის პირველადი/გადაცემული რეზისტენტობის შესწავლა ანტირეტროვირუსული პრეპარატებით არანამკურნალებ პაციენტებში და ტენდენციების შეფასება 2006-2013 წწ. პერიოდში
4. საქართველოსთვის დამახასიათებელი აივ-1-ის რეზისტენტობის პროფილის აღწერა ანტირეტროვირუსული პრეპარატებით მკურნალობაზე მყოფ პაციენტებში (2005-2013 წწ)

## **სამეცნიერო სიახლე და პრაქტიკული ღირებულება**

ჩვენს მიერ ჩატარებულ კვლევაში შესწავლილ იქნა საქართველოში მოცირკულირე აივ-1-ის შტამების გენეტიკური თავისებურებები, მათ შორის არც მედიკამენტებისადმი რეზისტენტობის განვითარებასა და გავრცელებასთან დაკავშირებული საკითხები. კვლევამ მოიცვა 2005-2013 წწ. პერიოდი და 411 აივ/შიდსით ავადმყოფი. წარმოდგენილი კვლევის ფარგლებში:

1. შეფასებულ იქნა აივ-1-ის გენეტიკური ტიპების გავრცელება საქართველოში და ტენდენცია დროთა განმავლობაში. განისაზღვრა ქვეყანაში მოცირკულირე დომინანტური შტამები, როგორც მთლიანი აივ-1 პოპულაციის დონეზე, ისე ცალკეული რისკის ჯგუფების მიხედვით.
2. პირველად აღმოსავლეთ ევროპის რეგიონში განხორციელდა ე.წ. „გადაცემის კლასტერების“ ფილოგენეტიკური ანალიზი, რომლის ფარგლებში შეფასებულ იქნა სხვადასხვა რისკის ჯგუფების პირებიდან მოპოვებულ ვირუსის შტამებს შორის არსებული გენეტიკური კავშირები. შესაბამისად, განისაზღვრა აივ-1-ის გადაცემის დინამიკა სხვადასხვა ჯგუფებში და შემუშავდა რეკომენდაციები საპასუხო ღონისძიებების გასატარებლად.
3. შეფასებულ იქნა არანაკურნალებ პაციენტებში პირველადი/გადაცემული რეზისტენტობის გავრცელება და განისაზღვრა აივ/შიდსის მკურნალობისა და მოვლის ეროვნული პროგრამის ეფექტურობა აივ-1 რეზისტენტობის აღმოცენებისა და შემდგომი გავრცელების პრევენციის კუთხით.
4. პირველად მსოფლიოში აღწერილ იქნა აღმოსავლეთ ევროპის რეგიონსა და საქართველოში მოცირკულირე აივ-1-ის A სუბტიპისათვის დამახასიათებელი სპეციფიური რეზისტენტობის პროფილი, რომელიც არსებული მონაცემებით მხოლოდ ამ სუბტიპისთვის არის დამახასიათებელი. ეს ძალიან მნიშვნელოვანია არც მკურნალობის ოპტიმალური მიდგომების განსაზღვრისათვის იმ გეორგაფიულ არეალებში, სადაც აღნიშნული სუბტიპია გავრცელებული.

მიღებული შედეგების საფუძველზე შემუშავდა კონკრეტული რეკომენდაციები, რომელთა განხორციელება მნიშვნელოვანია როგორც კლინიკური, ისე საზოგადოებრივი ჯანმრთელობის კუთხით.

წარმოდგენილი კვლევა მნიშვნელოვანია არა მხოლოდ ადგილობრივი, არამედ საერთაშორისო მასშტაბით. ჩვენი კვლევის შედეგები მნიშვნელოვანი დამატებაა

მსოფლიო გამოცდილებაზე და შეიძლება გათვალისწინებული იქნას ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციისა (WHO) და შიდსის საერთაშორისო ასოციაციის (IAS) მიერ აივ-ის მუტაციების ახალი სიების შედგენისა და რეზისტენტობის ტესტირების და აივ/შიდსის მკურნალობის ახალი გაიდლაინების შემუშავების დროს. კვლევაში გამოყენებული სინჯების დეზოქსირიბონუკლეინის მჟავის (დნმ) სექვენსები შეტანილია აშშ ჯანდაცვის ნაციონალური ინსტიტუტების (NIH) გენეტიკური მასალის მონაცემთა ბაზაში „GeneBank“-ში და ხელმისაწვდომია მეცნიერებისათვის მსფლიოს მასშტაბით გლობალური მოდგომარეობისა და ტენდენციების შეფასებისათვის.

### გამოქვეყნებული შრომები

Characterization of HIV-1 subtypes and drug resistance mutations among individuals infected with HIV in Georgia. **Dvali N.**, Parker M.M., Chkhartishvili N., **Sharvadze L.**, Gochitashvili N., Abutidze A., Karchava M., DeHovitz J.A., **Tsertsvadze T.** J Med Virol. 2012 Jul;84(7):1002-8. doi: 10.1002/jmv.23269.

Distinct drug resistance profile of HIV-1 subtype A strain circulating in Georgia. **Dvali N.**, Chkhartishvili N., Karchava M., **Sharvadze L.**, **Tsertsvadze T.** Georgian Med News. 2015 Mar;(240):19-24.

Molecular tracing of heterosexual HIV-1 transmission in Georgia. **Dvali, N.**, Chkhartishvili, N., **Sharvadze, L.**, Karchava, M., **Tsertsvadze, T.** Georgian Med News. 2015 Sep; (246):54-59.

### გამოსაქვეყნებლად წარდგენილი შრომები

Molecular epidemiology of HIV-1 in the country of Georgia: Identifying transmission clusters among newly diagnosed patients. **Dvali N.**, Chkhartishvili N., Karchava M., **Sharvadze L.**, Parker M.M., DeHovitz J.A., Nelson K., **Tsertsvadze T.**

### ლიტერატურის მიმოხილვა

შემქნილი იმუნოდეფიციტის სინდრომის (შიდსი) გამომწვევი ადამიანის იმუნოდეფიციტის ვირუსი (აივ) არის ლენტოვირუსი რეტროვირუსების ოჯახიდან (ბალტიმორის კლასიფიკაცია VI) (Baltimore, 1971; Douek, Roederer, & Koup, 2009; Jetzt et al., 2000; Weiss, 1993). ლენტოვირუსულ ინფექციას ჩვეულებრივ ახასიათებს დაავადების



ქრონიკული მიმდინარეობა, ხანგრძლივი ლატენტური პერიოდი და ვირუსის პერსისტენტული რეპლიკაცია. ვირუსი ადამიანის ორგანიზმში შეჭრის შემდეგ აზიანებს ორგანიზმის იმუნურ სისტემას, რის შედეგადაც ინფიცირებულ პირს ადვილად უჩნდება სხვადასხვა ინფექციური და/ან სიმსივნური დაავადება (თ. ცერცვაძე, 1999).


არსებობს აივ-ის ორი ტიპი: აივ-1 და აივ-2. აივ-1 უფრო გავრცელებულია გლობალურად ვიდრე აივ-2, რომელიც ძირითადად გვხვდება აღმოსავლეთ აფრიკაში და იწვევს ნაკლებად მძიმე დაავადებას. (Marlink et al., 1994)

აივ/შიდსი კლინიკურად პირველად აღწერეს ამერიკის შეერთებულ შტატებში 1981 წელს, როდესაც ზედიზედ იქნა დიაგნოსტირებული ისეთი იშვიათი დაავადებების რამდენიმე შემთხვევა, როგორცაა პნევმოციტური პნევმონიისა და კაპოშის სარკომა. (Center for Disease Control and Prevention (CDC), 1981a, 1981b) 1982 წელს შიდსი აშშ დაავადებათა კონტროლისა და პრევენციის ცენტრმა (CDC) ოფიციალურად დაარეგისტრირა როგორც ახალი დაავადება. 1983 წელს შიდსის გამომწვევი ვირუსი ერთდროულად იქნა აღმოჩენილი საფრანგეთსა და აშშ-ში.(Barre-Sinoussi et al., 1983; Gallo et al., 1983)

### აივ-ის სტრუქტურა და სასიცოცხლო ციკლი


აივ სფეროსებური ფორმის ვირუსია, დიამეტრი დაახლოებით 80-100ნმ -ია და შეიცავს ორ, ჩვეულებრივ იდენტურ ერთ სპირალიან რიბონუკლეინის მჟავის (რნმ)-ის მოლეკულას.(Coffin, Hughes, & Varmus, 1997) (სურათი 1) აივ-ის რნმ გენომი შედგება 9749 ნუკლეოდიდისაგან და მოიცავს სამ სტრუქტურულ *-gag, pol* და *env* - და რამოდენიმე არასტრუქტურულ გენს, მათ შორის *tat, rev, nef, vpr vpu (vpx* აივ-2 -ში). (სურათი 2) *gag* - გენი აკოდირებს *gag* პოლიპროტეინს, რომელიც მონაწილეობს ვირუსის კაფსიდის შექმნაში, ვირუსის ნაწილაკების აწყობაში და ვირუსის ზედაპირზე გარსის პროტეინის ორგანიზებაში. (Hill, Worthylake, Bancroft, Christensen, & Sundquist, 1996) *pol*-გენი, ანუ პოლიმერაზა აკოდირებს ვირუსის ფერმენტებს: შებრუნებით ანუ უკუ ტრანსკრიპტაზას (RT), RNase H, ინტეგრაზას და პროტეაზას. *env* - გენი აკოდირებს gp160 პრეკურსორ პროტეინს, რომლის დაშლითაც მიიღება ვირუსის შეჭრაში მონაწილე 2 პროტეინი: gp120, რომელიც უკავშირდება CD4 რეცეპტორს და gp41, რომელიც არის შეღწევის ფაქტორი.(Allan et al., 1985; Frey et al., 2010)

სურათი 1. აივ-ის აგებულება



წყარო: (Hoffmann, 2012)

სურათი 2. აივ-ის გენომის სტრუქტურა




წყარო: (<http://www.hiv.lanl.gov/content/sequence/HIV/MAP/landmark.html>)

აივ-ით უჯრედის ინფიცირებისას ვირუსის გარსის გლიკოპროტეინი gp120 უერთდება სამიზნე უჯრედის CD4 რეცეპტორს და ქემიკინ კო-რეცეპტორ CCR5-ს M-ტროპულ უჯრედების შემთხვევაში და CXCR4 რეცეპტორს T-ტროპული უჯრედების შემთხვევაში. (Este & Telenti, 2007; თ. ცერცვაძე, 1999) gp120 - ის CD4 მოლეკულასთან

მიერთების შემდეგ ვირუსი ერწყმის მასპინძელი უჯრედის გარსს და იჭრება მასში gp41 პროტეინის საშუალებით. (Frey, et al., 2010; თ. ცერცვაძე, 1999) (სურათი 3) ვირიონის გარსის დაკარგვის და უჯრედის ციტოპლაზმაში მოხვედრის შემდეგ ვირუსის რნმ ასრულებს მატრიცის როლს და ფერმენტ შებრუნებითი (უკუ-) ტრანსკრიპტაზას (RT) მეშვეობით ხდება ორსპირალიანი პროვირუსული დნმ-ის სინთეზი. წარმოქმნილი დნმ შესაძლებელია პერსისტირებდეს არაინტეგრირებული ფორმით ან ფერმენტ ინტეგრაზას საშუალებით შეიძლება ინტეგრირდეს უჯრედის დნმ-ში. სწორედ დნმ-ის ინტეგრაცია მასპინძლის გენეტიკურ მასალაში წარმოადგენს ვირუსის პერსისტენციის ძირითად მექანიზმს. (Hinz et al., 2010; თ. ცერცვაძე, 1999)

### სურათი 3. აივ-ის სასიცოცხლო ციკლი



წყარო: (Fauci, 2008)

ვირუსის სასიცოცხლო ციკლი ხასიათდება რეპლიკაციის განსაკუთრებით მაღალი უნარით (Wei et al., 1995; Wolinsky et al., 1996), მუტაციის (Malim & Emerman, 2001) და რეკომბინაციის (Jetzt, et al., 2000) მაღალი უნარით, რომელიც მასპინძლის

იმუნურ პასუხთან (Choisy, Woelk, Guegan, & Robertson, 2004; Wolinsky, et al., 1996; W. Yang, Bielawski, & Yang, 2003) ერთად იწვევს ვირუსის არაჩვეულებრივად დიდი მრავალფეროვნების წარმოქმნას (Robertson, Hahn, & Sharp, 1995) როგორც ერთი მასპინძლის (Taylor & Korber, 2005), ასევე მრავალი მასპინძლის დონეზე. (Archer & Robertson, 2007) სწორედ ვირუსის ასეთი მრავალფეროვნებითაა განპირობებული ვირუსის როგორც ხარგრძლივი და პერსისტენტული ინფექცია ცალკეულ მასპინძელში, ასევე სადღეისოდ პრევენციული და თერაპიული ვაქცინების არ არსებობა (თ. ცერცვაძე, 1999)

### **აივ-ის გენეტიკური მრავალფეროვნება ერთი მასპინძლის დონეზე**

აივ-ისათვის დამახასიათებელი გენეტიკური მრავალფეროვნება მსგავსია სხვა ლენტვირუსებისა (Artenstein et al., 1995; Buonaguro, Tornesello, & Buonaguro, 2007; Geretti, 2006; Jetzt, et al., 2000; Robertson, Hahn, et al., 1995). გენეტიკური მრავალფეროვნება განპირობებულია შემდეგი ფაქტორებით: ა) აივ - ის RT ფერმენტის შეცდომებისადმი მიდრეკილი ბუნება; ბ) აივ-ის რეპლიკაციის მაღალი სიხშირე; დღეში დაახლოებით  $10^{10}$  ვირუსის წარმოქმნა; გ) APOBEC3 და მასპინძლის სხვა მუტაგენური ფაქტორების ზემოქმედება; დ) RT ფერმენტის მიერ შებრუნებითი ტრანსკრიფციის დროს მატრიცის შეცვლის უნარის გამო გენეტიკური რეკომბინაციის მაღალი ტენდენცია; ე) იმუნური წნეხი; ვ) ალდგენის მექანიზმი (Allen et al., 2000; Archer et al., 2008; Huthoff, Autore, Gallois-Montbrun, Fraternali, & Malim, 2009; Jetzt, et al., 2000; Karlsson et al., 2007; Salazar-Gonzalez et al., 2009).

#### **ა) RT ფერმენტის შეცდომებისადმი მიდრეკილი ბუნება**

RT ფერმენტს არ გააჩნია შეცდომების გასწორების უნარი; ამას მივყავართ გენომში წერტილოვანი მუტაციების, ჩანართებისა და დელეციების წარმოქმნამდე რეპლიკაციის ციკლზე დაახლოებით  $3 \times 10^{-5}$  სიხშირით. ყველაზე ხშირია RT ფერმენტით (და არა APOBEC3 -ით) გამოწვეული G - A მუტაციები (Jern, Russell, Pathak, & Coffin, 2009).

#### **ბ) აივ -ის რეპლიკაციის მაღალი სიხშირე**

*in vivo* აივ-ს გააჩნია რეპლიკაციის ძალიან მაღალი უნარი; პლაზმის ვირიონების ნახევრის რეპლიკაცია ხდება ყოველ მეორე დღეს. რეპლიკაციის საშუალო სიხშირეა

0.68+/-0.13x10<sup>9</sup> ვირიონი დღეში. პლაზმაში მოციკულირე თითქმის ყველა ვირუსი გამოდის ახლად ინფიცირებული უჯრედებიდან (Ho et al., 1995)

#### გ) მასპინძლის ფაქტორების მუტაგენურიზემოქმედება

*in vivo* აივ-ის ევოლუციაზე შეიძლება გავლენას ახდენდეს მასპინძლის ფაქტორები. APOBEC პროტეინს შეუძლია გამოიწვიოს აივ-ის ლეტალური მუტაგენები შებრუნებითი ტრანსკრიფციის დროს აივ-ის გენომის დეამინაციის გზით. (Jern, et al., 2009; Lauring & Andino, 2010) APOBEC პროტეინის მიერ გამოწვეულ მუტაგენებს ასევე შეიძლება გავლენა ჰქონდეს არა მხოლოდ ერთი მასპინძლის, არამედ აივ-1-ის მასპინძელთა შორის ევოლუციაზე. (Jern, et al., 2009)

#### დ) გენეტიკური რეკომბინაცია RT ენზიმის მიერ რევერს ტრანსკრიფციის დროს მატრიცის შეცვლით

გენეტიკური რეკომბინაცია მრავალი რნმ ვირუსისათვის წარმოადგენს მრავალფეროვნების წყაროს. (Beemon, Duesberg, & Vogt, 1974; Coffin, et al., 1997; Hu & Temin, 1990) *in vivo* აივ-1-ის რეკომბინაციის სიხშირე არის  $1.38 \times 10^{-4}$  რეკომბინაცია გენერაციაზე, რაც 5.5-ჯერ აღემატება წერტილოვანი მუტაციების სიხშირეს გენერაციაზე. (Shriner, Rodrigo, Nickle, & Mullins, 2004) რეკომბინაციის შედეგად ხდება ჯანსაღი გენომის შიგნით სასარგებლო მუტაციების შერჩევა და ვირუსისათვის საზიანო მუტაციების მოშორება. (Galli et al., 2010; Simon-Loriere et al., 2009) აივ-1-ის რეკომბინაციას აივ ინფიცირებული პირის დონეზე ისეთივე ეფექტი აქვს როგორც წერტილოვან მუტაციებს და წარმოადგენს ევოლუციის მამოძრავებელ ძალას; (Shriner, et al., 2004) თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ წერტილოვანი მუტაციებისგან განსხვავებით რეკომბინაცია ყოველთვის არ იწვევს ინფიცირებული პირის დონეზე გაზრდილ გენეტიკურ მრავალფეროვნებას.

#### ე) იმუნური წნეხი

ციტოტოქსიური T უჯრედების ადრეული პასუხი დაკავშირებულია ვირუსის მიერ თავის გადარჩენასთან, რაც გავლენას ახდენს აივ-1-ის მრავალფეროვნებაზე. (Allen, et al., 2000; Karlsson, et al., 2007; Salazar-Gonzalez, et al., 2009) ციტოტოქსიური T უჯრედების ადრეული პასუხი გავლენას ახდენს ეპიტოპებზე *gag* და *nef* გენებზე. აივ-1-ს ასევე შესწევს უნარი თავი დააღწიოს მანეიტრალიზებელი ანტისხეულების პასუხს *env*

გენის ჰიპერვარიაციულ უბანში ამინმჟავების მრავლობითი ცვლილებების დაგროვებით. (Lemey et al., 2007)

### ვ) ალდგენის მექანიზმი

ნაჩვენებია, რომ *in vitro* მრავლობითი პასაჟის/გადატანის შემდეგ ვირუსის დასუსტებული კლონები განიცდის ალდგენას/გაჯანსაღებას. ეს არის მრავალსაფეხურიანი პროცესი, რომელშიც მუტაციები მიუთითებს სელექციურ წნევაზე და ზრდის ვირუსის მრავალფეროვნებას. (Lorenzo-Redondo, Borderia, & Lopez-Galindez, 2011) აივ-1 ასევე იყენებს მასპინძლის უჯრედული დნმ-ის ალდგენის მექანიზმს ინტეგრაციის დროს. (Smith & Daniel, 2006)


### აივ-ის რეკომბინაცია და გენეტიკური მრავალფეროვნება პოპულაციურ დონეზე

რეკომბინაციის როგორც ევოლუციის მამოძრავებელი ძალის კრიტიკული ნიშანი არის ის, რომ რეკომბინაციის დროს ხდება გენეტიკური ინფორმაციის გაცვლა ერთმანეთისგან გენეტიკურად დაშორებულ ვირუსის შტამებს შორის. (Simon-Loriere, Martin, Weeks, & Negroni, 2010) აივ ინფექციის არსებობა არ იცავს აივ-ის სხვა შტამით სუპერ- ან კონფექციისაგან (Artenstein, et al., 1995) და შესაძლებელია, რომ უჯრედი დაინფიცირდეს ორი სხვადასხვა ვირუსით და და თითოეული ვირუსის რნმ-ის „პლუს ჯაჭვი“ გაერთიანდეს ერთ ახალ ვირიონში. (Harris et al., 2002; Jetzt, et al., 2000) მიუხედავად იმისა, რომ ორ ნაწილობრივ იდენტურ რნმ-ის მოლეკულას შორის რეკომბინაცია ნაკლები სიხშირით ხდება ვიდრე ორ იდენტურ მოლეკულას შორის, (Zhang & Temin, 1994) რეკომბინაცია ძლიერ განსხვავებულ შტამებს შორის მაინც შესაძლებელია. (Robertson, Sharp, McCutchan, & Hahn, 1995) რეკომბინაციის შედეგად შეიძლება წარმოიქმნას ვირუსის რეკომბინანტული ფორმები სუბტიპის შიგნით, სუბტიპებს შორის ან ჯგუფის შიგნით. (Harris, et al., 2002; Jetzt, et al., 2000; Simon-Loriere, et al., 2009)

დღეისათვის მიღებულია, რომ აივ-1 ინფექციას სათავე დაუდო სულ ცოტა ოთხი სხვადასხვა სახეობის მაიმუნის იმუნოდეფიციტის ვირუსის (SIV) გადაცემამ პრიმატებიდან ადამიანებზე (სურათი 4) : ორი მოიცავს SIV<sub>cpz</sub>Ptt გადაცემას მეოცე საუკუნის დასაწყისში, რამაც წარმოქმნა აივ-ის M და N ჯგუფები, (Keele et al., 2006; Sharp, Shaw, & Hahn, 2005; Vidal et al., 2000) ერთი მოიცავს SIV<sub>gor</sub> გადაცემას და აივ-ის P

ჯგუფის წარმოქმნას; (Plantier et al., 2009) ბოლო მონაცემების მიხედვით აივ-ის O ჯგუფიც უფრო ახლოსაა SIV<sub>gor</sub>-თან.

სურათი 4. აივ-ის წარმოშობის ფილოგენეტიკური ხე




Maximum likelihood ფილოგენეტიკურ ხეზე გამოსახულია კავშირი SIVcpz, HIV-1 და SIVgor შტამებს შორის *pol* გენის ანალიზით. SIVcpz სექვენსები ნაჩვენებია შავი ფერით, SIVgor სექვენსები მწვანედ, აივ-1 M ჯგუფი წითლად, აივ-1 N ჯგუფი - ცისფრად, აივ-1 O ჯგუფი - ლურჯად და P ჯგუფი - ყავისფრად. შავი წრეები აჩვენებს ოთხ ტოტს, სადაც მოხდა სახეობებს შორის გადაცემა და ვირუსი გადავიდა დამიანზე; თეთრი წრეები აჩვენებს ტოტებს, სადაც მოხდა ვირუსის გადაცემა შიმპანზედან გორილაზე.

წყარო: (Sharp & Hahn, 2011)

აივ-1-ის M ჯგუფი პასუხისმგებელია აივ-ის გლობალურ პანდემიაზე. კამერუნიდან აივ-1 M ჯგუფის ვირუსი გავრცელდა სამხრეთით კონგოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში და საფუძველი დაედო აივ-1-ის თანამედროვე პანდემიას. (Keele, et al., 2006; Worobey et al., 2008) აივ-1-ის M ჯგუფი იყოფა ფილოგენეტიკურად განსხვავებულ 9 გენეტიკურ სუბტიპად. (Artenstein, et al., 1995; Buonaguro, et al., 2007; Geretti, 2006)

(Jetzt, et al., 2000; Keele & Derdeyn, 2009; Robertson et al., 2000; Vessiere et al., 2010)  
(სურათი 5)

### სურათი 5. აივ-1-ის სუბტიპები




ზემოთ აღწერილი რეკომბინაციის მექანიზმის შედეგია ის, რომ 9 „სუფთა“ სუბტიპის გარდა არსებობს აივ-1-ის სულ ცოტა 54 მოციკულირე რეკომბინანტული ფორმა (CRF) (სურათი 6), აივ-2 და რამოდენიმე უნიკალური რეკომბინანტული ფორმა (URF) (<http://www.hiv.lanl.gov/content/sequence/HIV/CRFs/CRFs.html>). როდესაც ვირუსის სუბტიპებს შორის რეკომბინანტული ვარიანტის გადაცემა ხდება მრავალ ინდივიდში და (ჩვეულებრივ სამ ან მეტ ეპიდემიოლოგიურად არა აუცილებლად დაკავშირებულში) აქვს ეპიდემიოლოგიური მნიშვნელობის პოტენციალი, ეს არის მოციკულირე რეკომბინანტული ფორმა (CRF). უნიკალურ რეკომბინანტულ ფორმებს (URF) გააჩნიათ უფრო შეზღუდული გავრცელება; ისინი გვხვდება ეპიდემიოლოგიურად მჭიდროდ დაკავშირებულ შემთხვევებში. (Easterbrook et al., 2010; Robertson, et al., 2000; Simon-Loriere, et al., 2009; Vidal, Bazepo, Mulanga, Delaporte, & Peeters, 2009; Ward, Lycett, Kalish, Rambaut, & Leigh Brown, 2013)





რეკომბინანტული ფორმების გავრცელება მსოფლიოში დაახლოებით 20%-ს შეადგენს (Galli, et al., 2010) და CRF01\_A წარმოადგენს ლოკალურ ფორმას სამხრეთ აღმოსავლეთ აზიაში (Menu et al., 1996; Motomura et al., 2000; Piyasirisilp et al., 2000) და CRF02\_AG დასავლეთ და დასავლეთ-ცენტრალურ აფრიკაში (McCutchan et al., 1999; Montavon et al., 2000).

სურათი 7. აივ-ის სუბტიპების და მოციკულირე რეკომბინანტული ფორმების გავრცელება მსოფლიოში



წყარო: (Hemelaar, Gouws, Ghys, & Osmanov, 2006)

### აივ/შიდსი მსოფლიოში

გაერთიანებული ერების აივ/შიდსის ერთობლივი პროგრამის (UNAIDS) მონაცემებით 2013 წელს მსოფლიოში 35 მილიონი აივ ინფიცირებული ადამიანი იყო. (UNAIDS, 2014) მათი უმრავლესობა – 24.7 მილიონი ადამიანი – სუბ-საჰარული აფრიკის რეგიონში ცხოვრობდა (სურათი 8). UNAIDS-ის მონაცემებით აღმოსავლეთ ევროპისა და ცენტრალური აზიის რეგიონში, რომელიც მოიცავს ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებს, ინფიცირებულია 1.1 მილიონი ადამიანი, მათგან 85% ორ ქვეყანაზე - რუსეთსა და უკრაინაზე მოდის.

2013 წელს მსოფლიოში სულ დაინფიცირდა 2.1 მილიონი ადამიანი. ახალი შემთხვევების დაახლოებით 95% დაბალი და საშუალო შემოსავლების ქვეყნებზე მოდის. (UNAIDS, 2014) ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის (WHO) მონაცემებით სიკვდილობის წამყვან მიზეზებს შორის აივ/შიდსი მე-6 ადგილზეა მსოფლიოში, ხოლო დაბალი შემოსავლების ქვეყნებში ის სიკვდილის მეორე წამყვანი მიზეზია. (World Health Organization, 2014.)

**სურათი 8. აივ/შიდსის გავრცელება მსოფლიოში**



**სულ: 35.0 მილიონი [33.2 მილიონი – 37.2 მილიონი]**

წყარო: (World Health Organization, 2014.)


**აივ/შიდსი საქართველოში**

საქართველოში აივ/შიდსის პირველი შემთხვევა 1989 წელს გამოვლინდა. 2014 წლის 31 დეკემბრის მონაცემებით საქართველოში რეგისტრირებულია აივ/შიდსის 4 697 შემთხვევა, მათგან 3 449 კაცი და 1 248 ქალია. აივ/შიდსის შემთხვევების სავარაუდო რიცხვია 6 400.

უკანასკნელი წლების დინამიკა მიუთითებს, რომ ქვეყანაში აღინიშნება აივ/შიდსის ახალი შემთხვევების ნელი, მაგრამ სტაბილური ზრდა (დიაგრამა 1). ეპიდემიის ზრდის ტენდენციის მიუხედავად, საქართველოში აივ/შიდსის ახალი

შემთხვევების მაჩვენებელი მნიშვნელოვნად ნაკლებია ყოფილი საბჭოთა ქვეყნების ანალოგიურ საშუალო მაჩვენებელთან შედარებით.


დიაგრამა 1. აივ-1-ის ახალი შემთხვევების რაოდენობა საქართველოში



წყარო: შიდსის ცენტრი, WHO/Europe

საქართველოში აივ ინფექციის გადაცემის გზების მიხედვით პირველ ადგილზეა ნარკოტიკების ინიექციური მოხმარება - 49.3%, შემდეგ მოდის ჰეტეროსექსუალური კონტაქტი - 41.7%, ჰომოსექსუალური კონტაქტი - 5.9%, ვერტიკალური გზით (დედიდან ბავშვზე) ინფიცირება - 1.8%, აივ ინფიცირებული სისხლის გადასხმა 0.5%, ხოლო 0.8%-ში დაინფიცირების გზა დაუდგენელია (დიაგრამა 2).

დიაგრამა 2. აივ/შიდსის შემთხვევების განაწილება გადაცემის გზების მიხედვით



წყარო: შიდსის ცენტრი

### ანტირეტროვირუსული (არვ) მკურნალობა

ანტირეტროვირუსული (არვ) პრეპარატების გამოყენებამ მნიშვნელოვნად შეამცირა აივ/შიდსთან დაკავშირებული ავადობა და სიკვდილობა და გაზარდა სიცოცხლის ხანგრძლივობა. (Hammer, et al., 1997; Mocroft, et al., 2003; Palella, et al., 1998; Sterne, et al., 2005) 1980-იან წლებში დაიწყო მონოთერაპიის სახით პირველი არვ მედიკამენტის – ზიდოვუდინის გამოყენება (Fischl et al., 1987) მალევე ნაჩვენები იქნა, რომ გრძელვადიან პერსპექტივაში ზიდოვუდინით მონოთერაპია არ არის ეფექტური. (Fischl et al., 1990; P. A. Volberding et al., 1990) 1990 წლებში გამოიყენებოდა ორმაგი თერაპია, რაც ასევე უშედეგო აღმოჩნდა. (Hammer et al., 1996)

1996 წლიდან დაიწყო თანამედროვე ეფექტური 3-კომპონენტური მკურნალობის გამოყენება (Gulick et al., 1997; Hammer, et al., 1997) ამ დროისათვის არვ მკურნალობის ღირებულება წელიწადში დაახლოებით 20 000 აშშ დოლარს შეადგენდა (Vella, Schwartländer, Sow, Eholie, & Murphy, 2012) და შესაბამისად მისი ხელმისაწვდომობა განვითარებად ქვეყნებში შეზღუდული იყო. უკანაკსნელ ათწლეულში საერთაშორისო ინციატივების, როგორცაა შიდსთან, ტუბერკულოზთან და მალარიასთან ბრძოლის გლობალური ფონდი, აშშ-ს პრეზიდენტის შიდსთან ბრძოლის პროგრამა, და სხვ.,

ძალისხმევით არც მკურნალობაზე ხელმისაწვდომობა მნიშვნელოვნად გაიზარდა დაბალი და საშუალო შემოსავლების მქონე ქვეყნებში. WHO-ს მონაცემებით 2013 წლის ბოლოს მსოფლიოში სულ მკურნალობაზე იყო 12.9 მილიონი აივ/შიდსით ავადმყოფი, მათ შორის 11.7 მილიონი ადამიანი დაბალი და საშუალო შემოსავლების ქვეყნებში. (World Health Organization, 2014) მკურნალობის გაფართოების შედეგად მსოფლიომ თავიდან აიცილია 7.6 მილიონი ადამიანის სიკვდილი. (UNAIDS, 2014)

დღეისათვის შიდსის სამკურნალოდ შემუშავებული და ამერიკის საკვებისა და წამლის ადმინისტრაციის (US FDA) მიერ ლიცენზირებულია 24 არც პრეპარატი (სურათი 9), რომლებიც წარმოადგენენ 6 კლასს: ნუკლეოზიდური რევერსტრანსკრიპტაზას ინჰიბიტორები (NRTI), არა-ნუკლეოზიდური რევერსტრანსკრიპტაზას ინჰიბიტორები (NNRTI), პროტეაზას ინჰიბიტორები (PI), ინტეგრეზას ინჰიბიტორები, შეღწევის ინჰიბიტორი და CCR5 ანტაგონისტი. (Tang & Shafer, 2012; P. Volberding, Greene, Lange, Gallant, & Sewankambo, 2012)

## სურათი 9. თანამედროვე ანტირეტროვიუსული პრეპარატები

Generic name	Abbreviation	Brand name (US) <sup>a</sup>
<b>Nucleoside reverse transcriptase inhibitors (NRTIs)</b>		
Abacavir	ABC	Ziagen <sup>®</sup>
Didanosine	ddI	Videx <sup>®</sup>
Emtricitabine	FTC	Emtriva <sup>®</sup>
Lamivudine	3TC	Epivir <sup>®</sup>
Stavudine	d4T	Zerit <sup>®</sup>
Tenofovir	TDF	Viread <sup>®</sup>
Zidovudine	AZT, ZDV	Retrovir <sup>®</sup>
<b>Non-nucleoside reverse transcriptase inhibitors (NNRTIs)</b>		
Delavirdine	DLV	Rescriptor <sup>®</sup>
Efavirenz	EFV	Sustiva <sup>®</sup>
Etravirine	ETR	Intelence <sup>®</sup>
Nevirapine	NVP	Viramune <sup>®</sup>
Nevirapine extended release	NVP XR	Viramune <sup>®</sup> XR <sup>™</sup>
Rilpivirine	RPV	Edurant <sup>®</sup>
<b>Protease inhibitors (PIs)</b>		
Atazanavir	ATV	Reyataz <sup>®</sup>
Darunavir	DRV	Prezista <sup>®</sup>
Fosamprenavir	FPV	Lexiva <sup>®</sup>
Indinavir	IDV	Crixivan <sup>®</sup>
Lopinavir/ritonavir	LPV/r	Kaletra <sup>®</sup>
Nelfinavir	NFV	Viracept <sup>®</sup>
Ritonavir	RTV, /r	Norvir <sup>®</sup>
Saquinavir hard gel caps	SQV	Invirase <sup>®</sup>
Tipranavir	TPV	Aptivus <sup>®</sup>
<b>Integrase inhibitors (INIs)</b>		
Raltegravir	RAL	Isentress <sup>®</sup>
<b>CCR5 antagonist</b>		
Maraviroc	MVC	Selzentry <sup>®</sup>
<b>Fusion inhibitor</b>		
Enfuvirtide (T20)	ENF	Fuzeon <sup>®</sup>

წყარო: (Tang & Shafer, 2012)

საქართველომ ჯერ კიდევ 1995 წლიდან დაიწყო შიდსის მკურნალობის სახელმწიფო პროგრამის განხორციელება, რომლის ფარგლებში 1997 წლიდან დაინერგა იმ დროისთვის უახლესი სამკომპონენტო არე მკურნალობა. 2004 წლიდან შიდსთან, ტუბერკულოზთან და მალარიასთან ბრძოლის გლობალური ფონდის ხელშეწყობით

საქართველომ პირველმა და ჯერ-ჯერობით ერთადერთმა აღმოსავლეთ ევროპის რეგიონში უზრუნველყო და შეინარჩუნა არც მკურნალობაზე უნივერსალური ხელმისაწვდომობა. (Tsertsvadze et al., 2011)

პირველი რიგის მკურნალობის რეკომენდებული რეჟიმი საქართველოში შედგება 2 NRTI და 1 NNRTI კომბინაციისგან. რიტონავირით გაძლიერებული (ბუსტირებული) პროტეაზას ინჰიბიტორი ინიშნება იმ შემთხვევაში, თუკი NNRTI-ს გამოყენება უკუნაჩვენებია. NRTI კომპონენტის სახით გამოიყენება ტენფოვირი + ემტრიციტაინი, ან ზიდოვუდინი + ლამივუდინი ან აბაკავირი + ლამივუდინი. ეფავირენზი გახლდათ უპირატესი NNRTI მედიკამენტი, ხოლო ნევირაპინი კი მისი ალტერნატივა.

აივ რეზისტენტობის შემთხვევაში არც მკურნალობის რეჟიმი იცვლება ვირუსის რეზისტენტობის პროფილის მიხედვით. მე-2 და შემდგომი რიგების არც მკურნალობისთვის საჭირო მედიკამენტების არსენალი მოიცავს როგორც პროტეაზას ინჰიბიტორებს (ლოპინავირ/რიტონავირი, ატაზანავირ/რიტონავირი, დარუნავირ/რიტონავირი), ისე უახლესი თაობის მედიკამენტებს, როგორცაა რალტეგრავირი (ინტეგრეზას ინჰიბიტორი), მარავიროკი (შერწყმის ინჰიბიტორი) და ეტრავირინი (ახალი თაობის ანრტი).

### **აივ-ის რეზისტენტობა ანტირეტროვირუსული პრეპარატების მიმართ**

არც მკურნალობის ეფექტურობაზე შეიძლება ნეგატიური გავლენა იქონიოს აივ-ის რეზისტენტობამ ანტირეტროვირუსული პრეპარატების მიმართ, რაც მკურნალობის უეფექტობის საკმაოდ ხშირი მიზეზია. (Bannister, et al., 2011; Cozzi-Lepri, et al., 2012; D'Aquila, et al., 1995; Gupta, et al., 2008; Japour, et al., 1995; Kozal, et al., 1993; Mtambo, et al., 2012; von Wyl, et al., 2009) აივ-1 გამოირჩევა მუტაციის მაღალი სიხშირით: დაახლოებით ერთი ნუკლეოტიდის მუტაცია რეპლიკაციის ციკლზე. (Abram, Ferris, Shao, Alvord, & Hughes, 2010; Mansky, 2002) მუტაციის მაღალი სიხშირე და ვირუსის უნარი დღეში წარმოქმნას დაახლოებით  $10^{10}$  ვირიონი, საშუალებას აძლევს აივ-1-ს გვერდი აუაროს იმუნურ სისტემას და ხელს უწყობს არც რეზისტენტობის განვითარებას. (Tang & Shafer, 2012) არც პრეპარატების მიმართ რეზისტენტობა შეიძლება განვითარდეს მკურნალობის



დროს (შეძენილი რეზისტენტობა), ან პაციენტი შეიძლება დაინფიცირდეს რეზისტენტული ვირუსით (გადაცემული რეზისტენტობა). (Hogg, et al., 2006; Palella, et al., 2009; Tang & Shafer, 2012) რეზისტენტული ვირუსის გადაცემა დაკავშირებულია ვირუსული უშედეგობის მაღალ რისკთან. (Borroto-Esoda et al., 2007; Kuritzkes et al., 2008) მკურნალობის უეფექტობა აივ-ის ანტირეტროვირუსული პრეპარატების მიმართ რეზისტენტობის გამო პრობლემას წარმოადგენს საქართველოში, რომელმაც ისევე როგორც მთელს მსოფლიოში თავი იჩინა ანტირეტროვირუსული პრეპარატების ხელმისაწვდომობის ზრდასთან ერთად. (Pillay, et al., 2005; Richman, et al., 2004; Tamalet, et al., 2003)

სტენფორდის უნივერსიტეტის აივ წამლებისადმი რეზისტენტობის მონაცემთა ბაზაში მოცემულია დღეისათვის გამოყენებული წამლებისადმი აივ-1-ის ცნობილი რეზისტენტული მუტაციები (სურათი 10). (HIVDB, 2013)

სურათი 10. აივ-1-ის რეზისტენტული მუტაციები პრეპარატების კლასის მიხედვით

Major Nucleoside RT Inhibitor (NRTI)-Resistance Mutations													
	Non-TAMs					TAMs					MDR		
	184	65	70	74	115	41	67	70	210	215	219	69	151
Cons	M	K	K	L	Y	M	D	K	L	T	K	T	Q
3TC	<u>VI</u>	R	E									Ins	M
FTC	<u>VI</u>	R	E									Ins	M
ABC	VI	<u>R</u>	E	<u>VI</u>	E	L			W	YF		<u>Ins</u>	<u>M</u>
ddl	VI	<u>R</u>	E	<u>VI</u>		L			W	YF		<u>Ins</u>	<u>M</u>
TDF	***	<u>R</u>	E		F	L		R	W	YF		<u>Ins</u>	M
d4T	***	R	E			L	N	R	W	<u>YF</u>	QE	<u>Ins</u>	<u>M</u>
ZDV	***	***	*	*		L	N	R	W	<u>YF</u>	QE	<u>Ins</u>	<u>M</u>

Major Non-Nucleoside RT Inhibitor (NNRTI)-Resistance Mutations											
	100	101	103	106	138	179	181	188	190	227	230
Cons	L	K	K	V	E	V	Y	Y	G	F	M
NVP	I	<u>PEH</u>	<u>NS</u>	<u>AM</u>		DEF	<u>CIV</u>	<u>LCH</u>	<u>ASEQ</u>	LC	<u>L</u>
EFV	I	<u>PEH</u>	<u>NS</u>	<u>AM</u>		DEF	C	<u>LCH</u>	<u>ASEQ</u>	LC	<u>L</u>
ETR	I	<u>PEH</u>			KAGQ	DEF	<u>CIV</u>		ASEQ	C	L
RPV	I	<u>PEH</u>			<u>KAGQ</u>	DEF	<u>CIV</u>	<u>L</u>	ASEQ	C	L

Major Protease Inhibitor (PI) Resistance Mutations														
	24	30	32	33	46	47	48	50	54	76	82	84	88	90
Cons	L	D	V	L	M	I	G	I	I	L	V	I	N	L
ATV/r			I	F	IL	V	VM	<u>L</u>	VTAM		ATSF	<u>V</u>	<u>S</u>	M
DRV/r			I	F		VA		V	LM	V	F	V		
FPV/r			<u>I</u>	F	IL	<u>VA</u>		<u>V</u>	<u>VTALM</u>	<u>V</u>	ATSE	<u>V</u>		M
IDV/r	I		I		IL	VA			VTALM	V	ATSF	<u>V</u>	S	M
LPV/r	I		I	F	IL	<u>VA</u>	VM	V	VTALM	V	ATSF	V		M
NFV		<u>N</u>		F	IL	VA	<u>VM</u>		VTALM		ATSF	<u>V</u>	<u>DS</u>	<u>M</u>
SQV/r							<u>VM</u>		VTAM		ATS	<u>V</u>	S	M
TPV/r			I	F	IL	VA			VTAM		<u>ISL</u>	V		

HIV-1 RT and Protease Mutations for Drug-Resistance Surveillance*									
NRTIs			NNRTIs			PIs			
M41	L	Q151	M	L100	I	L23	I	G73 S,T,C,A	
K65	R	M184	V,I	K101	E,P	L24	I	L76 V	
D67	N,G,E	L210	W	K103	N,S	D30	N	V82 A,T,S,F,L,C,M	
T69	D,Ins	T215	Y,F,S,C,D,E,I,V	V106	A,M	V32	I	N83 D	
K70	R,E	K219	Q,E,N,R	V179	F	M46	I,L	I84 V,A,C	
L74	V,I			Y181	C,I,V	I47	V,A	I85 V	
V75	M,T,A,S			Y188	L,C,H	G48	V,M	N88 D,S	
F77	L			G190	A,S,E	I50	V,L	L90 M	
Y115	F			P225	H	F53	F,Y		
F116	Y			M230	L	I54	V,L,M,T,A,S		

წამლების მიმართ რეზისტენტობის სურათი - რეზისტენტობის პროფილი - შეიძლება განსხვავებული იყოს აივ-ის სხვადასხვა სუბტიპისათვის, რაც გათვალისწინებული უნდა იქნას მკურნალობის სწორი რეჟიმის შერჩევისათვის. (Brenner, et al., 2003; Grossman, et al., 2004; Palma, et al., 2012; Tang & Shafer, 2012) აივ-ის ანტირეტროვირუსული პრეპარატების მიმართ რეზისტენტობის კვლევების უმრავლესობა ეხება ვირუსის B სუბტიპს. განვითარებადი ქვეყნების უმრავლესობაში კი დომინირებს ვირუსის სხვა, ე.წ. არა-B სუბტიპები და ამ ქვეყნებში ანტირეტროვირუსული პრეპარატები ხდება ფართოდ ხელმისაწვდომი. არც პრეპარატები ისეთივე ეფექტურია ვირუსის არა-B სუბტიპების წინააღმდეგ, როგორც სუბტიპ B-ს წინააღმდეგ. (Bannister, et al., 2011; Geretti et al., 2009; Scherrer et al., 2011) მუტაციები, რომლებიც იწვევენ რეზისტენტობას სუბტიპ B-ში, ასევე იწვევენ რეზისტენტობას სხვა სუბტიპებში. თუმცა, სუბტიპები განსხვავდება ერთმანეთისგან სპეციფიური მუტაციების განვითარებისაკენ მიდრეკილებით (Tang & Shafer, 2012)

## მასალა და მეთოდები

### საკვლევი პოპულაცია

კვლევა მოიცავდა ინფექციური პათოლოგიის, შიდსისა და კლინიკური იმუნოლოგიის სამეცნიერო პრაქტიკულ ცენტრში რეგისტრირებულ აივ-1 დადებით პაციენტებს. კვლევის პერიოდში შესწავლილი იქნა 18 წელზე უფროსი 411 პაციენტი. შესწავლილი იქნა აივ დადებითი პაციენტების 2 ჯგუფი:

**ჯგუფი 1:** აივ დადებითი პაციენტები, რომელთაც აივ-1 ინფექციის დიაგნოზი დაესვათ კვლევაში ჩართვამდე არაუგვიანეს 6 თვისა და არ იმყოფებოდნენ ანტირეტროვირუსულ მკურნალობაზე. ჯგუფში შედიოდა 218 პაციენტი, რომელთაც აივ ინფექციის დიაგნოზი დაესვათ 2006 - 2008 (126 პაციენტი) და 2011 -2013 (92 პაციენტი) წლებში. ამ ჯგუფში შევისწავლეთ აივ-1-ის მოლეკულური ეპიდემიოლოგია, პირველადი ანუ გადაცემული რეზისტენტობა და ჩავატარეთ აივ-ის "გადაცემის კლასტერების" ფილოგენეტიკური ანალიზი.

ჯგუფ 1-ში ჩართვის კრიტერიუმები იყო:

- ასაკი >18 წელი
- პაციენტს არ უნდა ჰქონოდა ანტირეტროვირუსული მკურნალობის ისტორია
- აივ ვირუსული დატვირთვა (VL) >1 000 cop/mL

**ჯგუფი 2:** ანტირეტროვირუსულ მკურნალობაზე მყოფი პაციენტები, რომელთაც აღენიშნებოდათ ვირუსული უშედეგობა. ვირუსული უშედეგობა განისაზღვრა როგორც ვირუსული დატვირთვის მაჩვენებელი >400 ასლი/მლ-ზე მკურნალობის 24 კვირაზე ან ვირუსული დატვირთვის განსაზღვრადი მაჩვენებელი თუკი ის მანამდე იყო განუსაზღვრელი. ჯგუფში შედიოდა 2005 - 2013 წლებში ანტირეტროვირუსულ მკურნალობაზე მყოფი და ვირუსული უშედეგობის ნიშნების მქონე 193 პაციენტი. ამ ჯგუფში შევისწავლეთ აივ-ის ანტირეტროვირუსული პრეპარატებისადმი რეზისტენტობის პროფილი/სურათი.

ჯგუფ 2-ში ჩართვის კრიტერიუმები იყო:

- ასაკი >18 წელი

- ანტირეტროვირუსულ მკურნალობაზე ყოფნა
- აივ ვირუსული დატვირთვა (VL) >1 000 cop/mL

## აივ-1-ის გენოტიპირება

### სინჯების მომზადება გენოტიპირებისათვის

კვლევის თითოეული მონაწილისაგან ერთჯერადად ხდებოდა 5 მლ ვენური სისხლის აღება. სისხლი გროვდებოდა ანტიკოაგულანტ EDTA-ს შემცველ სინჯარებში. სისხლის აღებიდან 4 საათის განმავლობაში ხდებოდა პლაზმის გამოყოფა ოთახის ტემპერატურაზე 1,500xg-ზე 20 წთ-ის განმავლობაში ცენტრიფუგირებით. ხდებოდა 500  $\mu$ L პლაზმის სინჯების გადანაწილება 3 ცალ 1.5 მლ-იან კრიოსინჯარაში. პლაზმიანი სინჯები ინახებოდა -80°C-ზე შემდეგი მოხმარებისათვის.

### ვირუსული რნმ-ის ექსტრაქცია

შენახული პლაზმის სინჯებიდან ვირუსული რნმ-ის გამოსაყოფად გამოყენებული იყო ვირუსული რნმ-ის ექსტრაქციის რამოდენიმე მეთოდი.

### *ვირუსული რნმ - ის ექსტრაქცია მანუალურად QIAamp Viral RNA Mini Kit -ის გამოყენებით*

პროცესი მიმდინარეობდა მწარმოებლის ინსტრუქციის მიხედვით და მოკლედ ასე გამოიყურებოდა: 140  $\mu$ L პლაზმის სინჯს ემატებოდა 560  $\mu$ L ბუფერი AVL და ხდებოდა ინკუბაცია ოთახის ტემპერატურაზე 10 წთ. ნარევს ემატებოდა 560  $\mu$ L აბსოლუტური ეთანოლი და მთლიანი ხსნარი 2 ეტაპად გადაიტანებოდა ცენტრიფუგის ფილტრიან სინჯარებში. სინჯარები ცენტრიფუგდებოდა 1 წთ 14, 000xg-ზე, ემატებოდა 500  $\mu$ L გამრეცხი ბუფერი AW1 და ცენტრიფუგდებოდა 1 წთ. შემდეგ ემატებოდა მეორე ბუფერი AW2 და ცენტრიფუგდებოდა 3 წთ. გამრეცხი ბუფერის მთლიანად მოსაშორებლად ხდებოდა დამატებითი ცენტრიფუგირება 1 წთ-ის განმავლობაში. ფილტრიდან რნმ-ის ხსნარში გადასყვანად სინჯარას ემატებოდა 60  $\mu$ L გამხსელი ბუფერი და ცენტრიფუგდებოდა 1წთ 6,000xg-ზე.

### ***ვირუსული რნმ - ის ექსტრაქცია მანუალურად ViroSeq Kit -ის გამოყენებით***

პროცესი მიმდინარეობდა მწარმოებლის ინსტრუქციის მიხედვით და მოკლედ ასე გამოიყურებოდა: ვირუსის კონცენტრირების მიზნით 500  $\mu$ L პლაზმა ცენტრიფუგდებოდა 22, 000 x g-ზე 4°C-ზე 1 საათის განმავლობაში. სუპერნატანტის მოცილების შემდეგ ნალექი იხსნებოდა 600  $\mu$ L ლიზის ბუფერში და ყოვნდებოდა ოთახის ტემპერატურაზე 10 წთ-ის განმავლობაში. შემდეგ ემატებოდა 600  $\mu$ L იზოპროპილი და ნარევი ცენტრიფუგდებოდა 13, 000xg-ზე 5წთ-ის განმავლობაში. სუპერნატანტის მოცილების შემდეგ ნალექს ემატებოდა 1მლ 70%-იანი ეთანოლი და ცენტრიფუგდებოდა 13, 000xg-ზე 5 წთ-ის განმავლობაში. კიდევ ერთხელ სუპერნატანტის მოცილების შემდეგ ხდებოდა ნალექის გამოშრობა ოთახის ტემპერატურაზე. გამოყოფილი რნმ-ის ხსნარში გადასაყვანად მშრალ ნალექს ემატებოდა 50  $\mu$ L რნმ-ის გამხსელი.

### ***ვირუსული რნმ-ის ექსტრაქცია ავტომატური ექსტრაქტორის EasyMag - ის საშუალებით***

პროცესი მიმდინარეობდა მწარმოებლის მიერ წარმოდგენილი ერთ-ერთი პროტოკოლის მიხედვით და მოკლედ ასე გამოიყურებოდა: 500  $\mu$ L პლაზმა გამოიყენებოდა ექსტრაქციის "პლატფორმაზე ლიზისის" პროტოკოლში. ავტომატურად 2 მლ ლიზის რეაგენტის დამატების შემდეგ ხდებოდა ინკუბაცია ოთახის ტემპერატურაზე 10 წთ-ის განმავლობაში. ინკუბაციის შემდეგ სინჯებს მანუალურად ემატებოდა 100  $\mu$ L მაგნიტური სილიკას ხსნარი და გრძელდებოდა ავტომატური ექსტრაქცია. გამოყოფილი რნმ-ის გახსნა ხდებოდა 110  $\mu$ L გამხსნელ ბუფერში (EB).

### **აივ-1-ის გენოტიპირება TruGene HIV-1 Genotyping Kit - ის გამოყენებით**

#### **OpenGene DNA Sequencing სისტემაზე**

ანალიზი მოიცავდა შემდეგ ეტაპებს:

#### ***1. სამიზნე რნმ - ის (RNA) რევერს ტრანსკრიპცია (RT) კომპლემენტარული დნმ-ის (cDNA) მისაღებად***

TruGene HIV-1 Genotyping Kit-ის (Siemens Healthcare Diagnostics Inc. Tarrytown, NY, USA) საშუალებით ხდებოდა აივ-1-ის pol გენში რევერს ტრანსკრიპტაზას (RT) და

პროტეაზას (PR) გენების ამპლიფიკაცია. PR -ს ზომას 297 ნუკლეოტიდი, ხოლო RT- ს ზომას 1,680 ნუკლეოტიდი. გენები მოთავსებულია HIV-1 LAV-1 -ის (GeneBank N K02013) გენომის 1835-4678 პოზიციაზე. აივ-1-ის განსაკუთრებით მაღალი პოლიმორფული ბუნების გამო, ტესტ-სისტემაში გამოიყენებოდა სხვადასხვა პრაიმერების ნარევი, რომელიც მიესადაგება აივ-1-ის ძირითად სუბტიპებს.

გამოყოფილი რნმ ემატებოდა სპეციალური მასტერ მიქსის (MMX) შემცველ სინჯარებს, რომელშიც ერთდროულად მიმდინარეობდა როგორც რევერს ტრანსკრიპცია (RT) , ასევე პოლიმერაზული ჯაჭვური რეაქცია (PCR).

სარეაქციო ნარევი ცხელდებოდა და ცივდებოდა სპეციფიურ ტემპერატურებზე, რაც ოლიგონუკლეოტიდურ პრაიმერებს აძლევდა აივ-1-ის სამიზნე რნმ-თან მიმაგრების საშუალებას. დეოქსინუკლეოტიდ ტრიფოსფატების (dNTP) სიჭარბის პირობებში RT ფერმენტი ახდენდა მიმაგრებული პრაიმერების დაგრძელებას სამიზნე რნმ-ის გაყოლებაზე და მიიღებოდა კომპლემენტარული დნმ (cDNA), რომელიც წარმოადგენდა cDNA:RNA ჰიბრიდს.
კლასტერი 2 აერთიანებს ორ მამრობითი სქესის ჰეტეროსექსუალური გზით ინფიცირებულ პაციენტს (bootstrap value=73%).

**სურათი 26. კლასტერი 3**




კლასტერი 3 აერთიანებს ერთ ინიექციური ნარკოტიკების მოხმარების გზით ინფიცირებულ კაცს და ჰეტეროსექსუალური გზით ინფიცირებულ ქალს (bootstrap value=76%).

**სურათი 27. კლასტერი 4**




კლასტერი 4 აერთიანებს ჰეტეროსექსუალური გზით ინფიცირებულ ერთ კაცს და ერთ ქალს (bootstrap value=91%).

### სურათი 28. კლასტერი 5




კლასტერი 5 აერთიანებს ჰეტეროსექსუალური გზით ინფიცირებულ სამ კაცს და ორ ქალს და ორ ჰომოსექსუალური კონტაქტით ინფიცირებულ ორ კაცს (bootstrap value=90%).

### სურათი 29. კლასტერი 6




კლასტერი 6 აერთიანებს ჰეტეროსექსუალური გზით ინფიცირებულ ერთ ქალს და ნარკოტიკების ინიექციური მოხმარების გზით ინფიცირებულ ერთ კაცს (bootstrap value=93%).

### სურათი 30. კლასტერი 7




კლასტერი 7 აერთიანებს ჰეტეროსექსუალური გზით ინფიცირებულ ერთ ქალს და ნარკოტიკების ინიექციური მოხმარების გზით ინფიცირებულ ერთ კაცს (bootstrap value=72%).

### სურათი 31. კლასტერი 8




კლასტერი 8 აერთიანებს ჰეტეროსექსუალური გზით ინფიცირებულ ორ ქალს და ნარკოტიკების ინიექციური მოხმარების გზით ინფიცირებულ ერთ კაცს (bootstrap value=99%).

**სურათი 32. კლასტერი 9**




კლასტერი 9 აერთიანებს ჰეტეროსექსუალური გზით ინფიცირებულ ერთ ქალს და ნარკოტიკების ინიექციური მოხმარების გზით ინფიცირებულ ერთ კაცს (bootstrap value=84%).

**სურათი 33. კლასტერი 10**




კლასტერი 10 აერთიანებს სამ ჰომოსექსუალ მამაკაცს (bootstrap value=99%).

**სურათი 34. კლასტერი 11**




კლასტერი 11 აერთიანებს ნარკოტიკების ინიექციური მოხმარების გზით ინფიცირებულ ორ მამაკაცს (bootstrap value=80%).

**სურათი 35. კლასტერი 12**




კლასტერი 12 აერთიანებს ჰეტეროსექსუალური გზით ინფიცირებულ ერთ ქალს და ერთ კაცს (bootstrap value=75%).

**სურათი 36. კლასტერი 13**




კლასტერი 13 აერთიანებს ნარკოტიკების ინიექციური მოხმარების გზით ინფიცირებულ ორ კაცს (bootstrap value=97%).

**სურათი 37. კლასტერი 14**




კლასტერი 14 აერთიანებს ჰეტეროსექსუალური გზით ინფიცირებულ ერთ ქალს და ნარკოტიკების ინიექციური მოხმარების გზით ინფიცირებულ ერთ კაცს (bootstrap value=99%).

**სურათი 38. კლასტერი 15**




კლასტერი 15 აერთიანებს ორ ჰომოსექსუალ კაცს (bootstrap value=95%).

**სურათი 39. კლასტერი 16**



კლასტერი 16 აერთიანებს ჰეტეროსექსუალური გზით ინფიცირებულ ორ და ჰომოსექსუალური კონტაქტით ინფიცირებულ ექვს კაცს (bootstrap value=89%).

#### სურათი 40. კლასტერი 17



კლასტერი 17 აერთიანებს ჰეტეროსექსუალური გზით ინფიცირებულ ერთ ქალს და ნარკოტიკების ინიექციური მოხმარების გზით ინფიცირებულ სამ კაცს (bootstrap value=98%).

მულტივარიაციულმა ანალიზმა აჩვენა, რომ „გადაცემის კლასტერის“ წევრობა დაკავშირებული იყო შემდეგი ფაქტორები: ასაკობრივი ჯგუფი 18 – 25 წლის ფარგლებში – ფარდობითი რისკი 2.44 (95% სარწმუნოების ინტერვალი [CI]: 1.20-4.96,  $p=0.014$ ); ასაკობრივი ჯგუფი 25–35 წლის ფარგლებში – ფარდობითი რისკი 1.83 (1.03-3.27,  $p=0.040$ ); აივ ჰომოსექსუალური გადაცემის გზა – ფარდობითი რისკი 2.16 (95% CI: 1.16-4.03,  $p=0.015$ ); აივ B სუბტიპი – ფარდობითი რისკი 2.56 (95% CI: 1.42-4.61,  $p=0.002$ ) და აივ სუბტიპი გარდა A და B– ფარდობითი რისკი 2.68 (95% CI: 1.29-5.57,  $p=0.008$ ). პაციენტის სქესი არ იყო დაკავშირებული გამოსავალთან უნივარიაციულ ანალიზში და გარდა ამისა, ის მნიშვნელოვნად კორელირებდა აივ გადაცემის გზასთან და შესაბამისად



სქესი, როგორც დამოუკიდებელი ფაქტორი, ამოღებულ იქნა მულტიავრიაციული მოდელიდან.

### **პირველადი/გადაცემული რეზისტენტობის გავრცელება საქართველოში**

2006-2008 წლის არანამკურნელებ პაციენტებში პირველადი რეზისტენტობის კვლევაში ჩართული 126 პაციენტიდან რეზისტენტული მუტაციები აღმოაჩნდა სამი პაციენტისაგან (2.38%) გამოყოფილ ვირუსის სინჯებში. ორი პაციენტი ინფიცირებული იყო ვირუსით, რომელსაც ჰქონდა რეზისტენტობა NNRTI-ს მიმართ; კერძოდ ერთ შემთხვევაში აღმოჩენილი იქნა K103N მუტაცია და მეორე შემთხვევაში - K101E. ერთი პაციენტი (0.79%) რეზისტენტული იყო NRTI ლამივუდინის მიმართ M184I მუტაციის გამო. პოპულაციაში ასევე მოხდა ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებისათვის დამახასიათებელი ვირუსის სუბტიპი A -სათვის სპეციფიური PI მუტაცია V77I-ს შესწავლა. V77I მუტაცია ორ სხვა მუტაციასთან ერთად: კოდონები Thr-31 და Gly-78 ქმნის ე.წ. V77I ჰაპლოტიპს, რომელიც დამახასიათებელია რეგიონში აივ-1 ეპიდემიისათვის. (Roudinskii et al., 2004) V77I მუტაცია აღმოჩნდა 126-დან 40 (31.7%) სინჯში. აქედან 37 სინჯი (92.5%) იყო ვირუსის სუბტიპი A და მათგან 23-ს (62.2%) ასევე ჰქონდა V77I ჰაპლოტიპისათვის დამახასიათებელი მუტაციები კოდონებში Thr-31 და Gly-78. V77I მუტაცია ნანახი იქნა 3 შემთხვევაში ვირუსის B სუბტიპში, მაგრამ არც ერთს თან არ სდევდა V77I ჰაპლოტიპისათვის დამახასიათებელი Thr-31 და Gly-78 ჩანაცვლებები.

2011-2013 წლის არანამკურნელებ პაციენტებში პირველადი რეზისტენტობის კვლევაში ჩართული 92 პაციენტიდან რეზისტენტული მუტაციები აღმოაჩნდა ორი პაციენტისაგან (2.17%) გამოყოფილ ვირუსის სინჯებში. ერთ შემთხვევაში აღმოჩენილი იქნა NNRTI მუტაცია Y188H/L და მეორე შემთხვევაში - PI მუტაცია N88S.

### **აივ-1-ის რეზისტენტობის პროფილის დახასიათება**

ჯგუფი 2-ის 193 პაციენტიდან 170-ს (88.1%) ჰქონდა ანტირეტროვირუსული წამლების 2 ჯგუფის - NRTI + NNRTI - მიმართ რეზისტენტობა, ორი სხვა ჯგუფის - NRTI + PI - მიმართ რეზისტენტობა აღენიშნებოდა ერთ (0.5%) პაციენტს; წამლების ერთი ჯგუფის მიმართ რეზისტენტობა ნანახი იქნა 21 შემთხვევაში (10.9%), აქედან მხოლოდ

NRTI -ს ჯგუფის მიმართ რეზისტენტობა იყო 10 პაციენტში (5.2%) და მხოლოდ NNRTI -ს ჯგუფის მიმართ რეზისტენტობა 11 (5.7%) პაციენტში. ერთი პაციენტი (0.5%) იყო ვირუსის მატარებელი, რომელსაც აღენიშნებოდა რეზისტენტობა ანტირეტროვირუსული პრეპარატების სამი ჯგუფის - NRTI + NNRTI+PI - მიმართ რეზისტენტობა.

ყველაზე გავრცელებული NRTI მუტაცია იყო M184V. ის ნანახი იქნა 193-დან 166 (86.0%) ვირუსში. შემდეგ მოდიოდა NRTI მუტაციები L74V (22.3%, n=43) და K65R (13.5, n=26). (ცხრილი 5) ნებისმიერი ერთი თიმიდინის ანალოგი მუტაცია (TAM) შეგვხვდა სინჯების 23.3%-ში და ვირუსების 7.8%-ს ფქონდა  $\geq 3$  TAM. ყველაზე გავრცელებული TAM იყო D67N -12.9%. NRTI მუტაციების სურათი/პროფილი სტატისკურად მნიშვნელოვნად არ განსხვავდებოდა აივ-ის სხვადასხვა სუბტიპში.

NNRTI მუტაციებს შორის ყველაზე გავრცელებული იყო G190S, რომელიც შეგვხვდა 105 სინჯში (54.4%). G190S-ს მოყვებოდა შენგეგი მნიშვნელოვანი მუტაციები: K101E (31.6%, n=61), K103N (30.1%, n=58) და Y181C (26.9%, n=52). NNRTI მუტაციების სურათის/პროფილის შედარების შედეგად გამოვლინდა მნიშვნელოვანი განსხვავება აივ-1-ის სუბტიპ A-ს და ვირუსის სხვა, არა -A, სუბტიპებს შორის. მუტაციები G190S და K101E მნიშვნელოვნად უფრო ხშირად გვხვდება აივ-1-ის სუბტიპ A-ში, ვიდრე სხვა სუბტიპებში ( $p < 0.0001$ ), მუტაცია K103N კი უფრო ხშირია ვირუსის არა -A სუბტიპში ( $p < 0.0001$ ). 69 სინჯში NNRTI მუტაცია G190S შეგვხვდა ან K101E-თან, ან Y181C-თან, ან ორივესთან ერთად: 39 შემთხვევაში შეგვხვდა G190S/ K101E გენოტიპი ; 10 შემთხვევაში - G190S/ Y181C გენოტიპი და 20 შემთხვევაში G190S/ K101E/ Y181C გენოტიპი.

პროტეაზას ინჰიბიტორების (PI) მიმართ რეზისტენტული ვირუსი აღმოაჩნდა 2 პაციენტს. ერთ შემთხვევაში ნანახი იქნა PI მუტაცია D30N, მეორე შემთხვევაში პაციენტს ფქონდა 3 PI მუტაციის კომბინაცია : M46I, I47V და L76V.

ცხრილი 5. რევერს ტრანსკრიპტაზას რეზისტენტული მუტაციები

	რაოდენობა (n=193)	სუბტიპი A (n=167)	არა A სუბტიპი (n=26)	<i>p</i> value
NRTI მუტაციები, n (%)				
M41L	12 (6.2)	11 (6.6)	1 (3.8)	0.99
D67N	25 (12.9)	24 (14.4)	1 (3.8)	0.21
K70R	13 (6.7)	12 (7.2)	1 (3.8)	0.99
L210W	9 (4.7)	9 (5.4)	0 (0.0)	0.61
T215YF	22 (11.4)	18 (10.8)	4 (15.4)	0.51
K219QE	15 (7.8)	13 (7.8)	2 (7.7)	0.99
K65R	26 (13.5)	24 (14.4)	2 (7.7)	0.54
L74V	43 (22.3)	36 (21.6)	7 (26.9)	0.61
Y115F	23 (11.9)	22 (13.2)	1 (3.8)	0.32
M184V	166 (86.0)	146 (87.4)	20 (76.9)	0.22
NNRTI მუტაციები, n (%)				
K101E	61 (31.6)	61 (36.5)	0 (0.0)	<0.0001
K103N	58 (30.1)	40 (24.0)	18 (69.2)	<0.0001
V106M	8 (4.1)	7 (4.2)	1 (3.8)	0.99
V108I	13 (6.7)	11 (6.6)	2 (7.7)	0.69
Y181CI	52 (26.9)	43 (25.7)	9 (34.6)	0.34
G190S	105 (54.4)	104 (62.3)	1 (3.8)	<0.0001
G190A	8 (4.1)	5 (3.0)	3 (11.5)	0.08

## განხილვა

ჩვენმა კვლევამ აჩვენა, რომ აივ-1-ის სუბტიპი A, რომელიც გავრცელებულია აღმოსავლეთ ევროპის რეგიონში (Bobkova, 2013), ასევე წარმოადგენს საქართველოში მოცირკულირე ყველაზე მეტად გავრცელებულ სუბტიპს (Dvali et al., 2012; Zarandia, et al., 2006). ჩვენი კვლევა წარმოადგენს პირველ შრომას აღმოსავლეთ ევროპის რეგიონის ქვეყნებში, რომელშიც შეესწავლილია აივ-1-ის ე.წ. "გადაცემის კლასტერები". ჩვენს ანალიზში აივ-1-ის *pol* სექვენსების 22.5 %-მა ჩამოაყალიბა 17 გადაცემის კლასტერი, რომლებიც განსხვავდება გადაცემის კატეგორიის და სქესის მიხედვით.

გადაცემის 8 კლასტერი შედგებოდა ნარკოტიკების ინიექციური მომხმარებელი მამაკაცების და და ჰეტეროსექსუალური გზით ინფიცირებული ქალებისაგან. აღსანიშნავია, რომ ამ პოპულაციაში დომინანტური იყო აივ-ის A სუბტიპი. ეს აღმოჩენა მიუთითებს საქართველოში აივ-ის ორ ეპიდემიას - ნარკოტიკების ინიექციური მოხმარების და ჰეტეროსექსუალური კონტაქტის გზით გავრცელებულ ეპიდემიას - შორის მჭიდრო კავშირზე. ინფექციური პათოლოგიის, შიდსისა და კლინიკური იმუნოლოგიის სამეცნიერო პრაქტიკულ ცენტრში ჩატარებულმა კვლევამ აჩვენა, რომ ქალებში აივ ინფექციის ძირითად რისკ ფაქტორს წარმოადგენს სექსუალური პარტნიორის დადებითი აივ სტატუსი ან პარტნიორის მიერ ნარკოტიკების ინიექციური მოხმარება. (Chkhartishvili, McNutt, Smith, & Tsertsvadze, 2011) აქედან გამომდინარე, აივ-ის ჰეტეროსექსუალური ეპიდემია დაკავშირებულია ნარკოტიკების ინიექციური მომხმარებლების თემთან და არ წარმოადგენს ეპიდემიის გენერალიზაციის შედეგს. აივ-ის დედიდან ბავშვზე გადაცემის ეროვნული პროგრამა (PMTCT), რომელიც გულისხმობს ორსული ქალების უნივერსალურ სკრინინგს აივ ინფექციაზე, ასევე წარმოადგენს იმის დადასტურებას, რომ აივ-ის ეპიდემია არ არის ფართოდ გავრცელებული ზოგად პოპულაციაში. ამ კვლევის მონაცემების თანახმად, აივ ინფექციის პრევალენტობა ორსულ ქალებში 2006-2013 წლებში იყო ძალიან დაბალი და მერყეობდა 0.02% - 0.04% (დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის გამოუქვეყნებელი მონაცემები).

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში ჰეტეროსექსუალური კონტაქტის გზით ინფიცირებული პირების ურავლესობას ქალები წარმოადგენენ, ბოლო მონაცემების

თანახმად შეინიშნება ჰეტეროსექსუალური გზით ინფიცირების შემთხვევების ზრდა კაცებში. ჩვენს კვლევაში ჰეტეროსექსუალური გზით ინფიცირებული 9 კაციდან აღებული სინჯებიდან მიღებულმა აივ-ის ორმა სექვენსმა წარმოქმნა მხოლოდ კაცებისგან შემდგარი კლასტერი, ხოლო 2 სექვენსი გაერთიანდა ჰომოსექსუალური კონტაქტის გზით ინფიცირებულ კაცთან. შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ეს მიუთითებს კვლევაში ჩართული პაციენტების მიერ ჰომოსექსუალური ქცევის დაფარვას სტიგმის გამო. ამერიკის შეერთებულ შტატებში და დიდ ბრიტანეთს ჩატრებულმა კვლევებმაც ასევე აჩვენა ჰეტეროსექსუალი და ჰომოსექსუალი კაცებისგან შემდგარი შერეული კლასტერები. (Dennis et al., 2012; Hue et al., 2014). ჰომოსექსუალური ქცევის დაფარვა გავრცელებული პრობლემაა მთელს მსოფლიოში, (Fay et al., 2011; Pathela et al., 2006) რაც იწვევს ასეთ პაციენტებში არასრულფასოვანი პრევენციული ზომების ჩატარებას.

ჩვენს კვლევაში 15 ჰომოსექსუალი კაციდან 13 გაერთიანდა კლასტერებში, რაც მიუთითებს ამ ჯგუფში გადაცემის უფრო მჭიდრო ქსელის არსებობაზე. მულტივარიაციულმა ანალიზმა დაადასტურა MSM-ში კლასტერების წარმოქმნის უფრო მაღალი ალბათობა. კლასტერში გაერთიანებასთან დაკავშირებული ფაქტორები იყო: აივ-ის ჰომოსექსუალური გადაცემის გზა (RR 2.16, p=0.015), აივ-ის B სუბტიპი, რომელიც უფრო ხშირი იყო MSM-ებში (RR2.56, p=0.002) და ახალგაზრდა ასაკი: ჰომოსექსუალური გზით ინფიცირებული პაციენტების 26% იყო 25 წელზე ახალგაზრდა (RR 2.44, p=0.014). ეპიდემიოლოგიურ მონაცემებთან ერთად, რომელიც აჩვენებს აივ ინფექციის პრევალენტობის ზრდას MSM-ებში და ახალი ინფექციის უფრო მარალ მაჩვენებელს, (Georgia Country report for the Global AIDS Response Progress Reporting, 2014; Tsertsvadze et al., 2014) ჩვენი კვლევის შედეგები კიდევ ერთხელ მიუთითებს ამ პოპულაციაში ფართო მასშტაბიანი ეპიდემიის განვითარების რისკზე. MSM ეპიდემიის ზრდა შეინიშნება გლობალურად, ისეთი რეგიონების ჩათვლით, რომლებიც ტრადიციულად განიხილებოდა როგორც არა- MSM ეპიდემიის ადგილები, როგორცაა მაგალითად სუბსაჰარული აფრიკა და აზია. (Beyrer et al., 2013; Mayer, 2014; H. T. Yang et al., 2014).

ჩვენი კვლევის შედეგები ასევე მიუთითებს MSM ეპიდემიის დამოუკიდებელ გავითარებაზე. MSM სექვენსები არ გაერთიანდა კლასტერში IDU სექვენსებთან; ასევე უმნიშველო იყო ქალებთან კავშირი კლასტერში, რომელშიც ასევე შედიოდა

ჰეტეროსექსუალური გზით ინფიცირებული 3 კაცი. ქალებისგან და ინიექციური ნარკოტიკების მომხმრებელი მამაკაცებისგან განსხვავებით, MSM-ების უმრავლესობა ინფიცირებული იყო აივ-ის B სუბტიპით. ეპიდემიის ასეთი სეგრეგაცია ბევრგანაა აღწერილი, განსაკუთრებით ეპიდემიის განვითარების ადრეულ სტადიებზე. (Herring et al., 2003; Mastro, Kumanusont, Dondero, & Wasi, 1997; van Harmelen et al., 1997)

ჩვენს კვლევაში ჩანს, რომ გაიზარდა აივ-ის სუბტიპი G-თ ინფიცირების შემთხვევები. სუბტიპი G-თ ინფიცირების პირველი შემთხვევა აღვწერეთ 2006 წელს შრომით მიგრანტში, რომელიც საქართველოში დაბრუნდა ევროპიდან. ამ შემთხვევის შემდეგ სუბტიპი G-თ ინფიცირების კიდევ 5 შემთხვევა გამოვავლინეთ და ყველა სექვენსი გაერთიანდა ერთ კლასტერში 84% -იანი სარწმუნოებით. სუბტიპი G გავრცელებულია პორტუგალიაში და ევროპის ქვეყნებში გვხვდება ახალდიაგნოზირებული პაციენტების 3%-ში.(Abecasis et al., 2013; Esteves et al., 2003)

ჩვენი კვლევა პირველი კვლევაა აღმოსავლეთ ევროპის რეგიონში, რომლის ფარგლებში მოხდა ე.წ. „გადაცემის კლასტერების“ ფილოგენეტიკური ანალიზი. კვლევის შედეგები ადასტურებს კავშირს აივ-ის IDU და ჰეტეროსექსუალურ ეპიდემიებს შორის. არ იქნა ნანახი კავშირი აივ-ის IDU და MSM გადაცემის შემთხვევებს შორის, რაც მიანიშნებს ორი ეპიდემიის დამოუკიდებელ ევოლუციაზე.

ჩვენს მიერ "გადაცემის კლასტერების" კვლევას გააჩნია გარკვეული შეზღუდვები. კერძოდ: 1) MSM -ების შედარებით მცირე რიცხვი ზღუდავს გადაცემის უფრო ფართე ქსელის აღმოჩენის სტატისტიკურ სიმძლავრეს. უნდა აღინიშნოს, რომ MSM -ებში განვითარებადი ეპიდემიის მიუხედავად, ამ ჯგუფში შემთხვევების რიცხვი მაინც მცირე რჩება და შეადგენს საერთო შემთხვევების მხოლოდ 6 %-ს; 2) ჩვენ შემოვიფარგლეთ აივ-ის მხოლოდ *pol* რეგიონის გაანალიზებით, მაგრამ დადასტურებულია, რომ ეს რეგიონი მოიცავს საკმარის ინფორმაციას აივ-ის გადაცემის ქსელის ანალიზისათვის. (Hue, Clewley, Cane, & Pillay, 2004)

ჩვენმა კვლევამ აჩვენა, რომ აივ-1-ის A სუბტიპს აქვს მისთვის დამახასიათებელი განსხვავებული NNRTI რეზისტენტობის პროფილი. ეს განსხვავება პირველად აღვწერეთ ჩვენ და ცოტა ხნის წინ დადასტურდა რუსეთში ჩატარებულ უფრო დიდ

კვლევაში (Dvali, et al., 2012; Kolomeets, Varghese, Lemey, Bobkova, & Shafer, 2014; Tsertsvadze, et al., 2011). G190S იყო ყველაზე გავრცელებული NNRTI მუტაცია და ის მნიშვნელოვნად უფრო ხშირად გვხვდებოდა აივ-1-ის A სუბტიპის სინჯებში. ეს მნიშვნელოვანი განსხვავებაა აივ-1-ის სხვა სუბტიპებისგან, რომლებშიც უფრო ხშირად ვხვდებით NNRTI მუტაციებს K103N და Y181CI (Reuman, Rhee, Holmes, & Shafer, 2010; Wallis et al., 2014).

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მახასიათებელი, რომელიც აღწერეთ და ახასიათებს მხოლოდ აივ-1-ის A სუბტიპს, არის NNRTI მუტაცია K101E-ს მაღალი სიხშირე. მნიშვნელოვანია, რომ ჩვენს მიერ პირველად აღწერილი იქნა, რომ მუტაცია K101E თითქმის ექსკლუზიურად გვხვდებოდა მხოლოდ მუტაცია G190S-თან ერთად. ასევე მნიშვნელოვანი იყო NNRTI მუტაცია Y181CI -თან ერთად აღნიშნული მუტაციების გამოჩენა. გაურკვეველია, აღნიშნული მუტაციები ჩნდებოდა ერთდოულად თუ ხდებოდა მათი აკუმულაცია. ნებისმიერ შემთხვევაში, აღნიშნული მუტაციების ერთდოული არსებობა ზღუდავს ახალი თაობის NNRTI კლასის არც პრეპარატების გამოყენების შესაძლებლობას ამ პრეპარატებით ადრე ნამკურნალებ აივ-1-ის A სუბტიპით ინფიცირებულ პაციენტებში.

სუბტიპების მიხედვით შედარების გარდა G190S და K101E მუტაციების სიხშირე ასევე შეფასდა პაციენტის სქესის, აივ ინფექციის გადაცემის გზის და ართ რეჟიმის მიხედვით. არც ერთმა ანალიზმა არ აჩვენა სტატისტიკურად მნიშვნელოვანი განსხვავება, რაც კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს, რომ რეზისტენტობის განსაკუთრებული/განსხვავებული პროფილი/სურათი განპირობებულია მხოლოდ აივ-1-ის A სუბტიპით და არა რაიმე სხვა ფაქტორით.

რაც შეეხება სხვა რეზისტენტულ მუტაციებს, ისევე როგორც მთელს მსოფლიოში, საქართველოშიც ყველაზე გავრცელებული მუტაციაა M184V (Assoumou et al., 2013; Hosseinipour, Gupta, Van Zyl, Eron, & Nachega, 2013). მუტაციების სიხშირის წლების მიხედვით შედარებისას აღმოვაჩინეთ, რომ გაიზარდა L74V- ის (22.3% 2014 წელს და 14.6% 2011 წელს) და K65R-ის (13.5 % 2014 წელს და 4.9% 2011 წელს) სიხშირე, რაც შესაბამისობაშია აბაკავირის და ტენოფოვირის გაზრდილ მოხმარებასთან. ჩვენს კვლევაში აწერილი TAM-ების სიხშირე უფრო დაბალია ვიდრე მარკონის და კოლეგების

კვლევაში (Marconi et al., 2008), მაგრამ მსგავსია იმ ქვეყნებში ჩატარებული კვლევების შედეგებისა, სადაც აივ ვირუსული დატვირთვის განსაზღვრა წარმოადგენს რუტინულ გამოკვლევას (Barth, van der Loeff, Schuurman, Hoepelman, & Wensing, 2010). ეს ფაქტი ხაზს უსვამს, რომ ვირუსული დატვირთვის რუტინულად განსაზღვრა მნიშველოვანი ფაქტორია რეზისტენტული მუტაციების აკუმულაციის თავიდან ასაცილებლად. რადგანაც საქართველოში ზიდოვუდინი კვლავაც რჩება ერთ-ერთ ყველაზე ფართოდ გამოყენებულ ანტირეტროვირუსულ პრეპარატად, აუცილებელია მუდმივად მოხდეს TAM-ების წარმოქმნის კონტროლი.

PI რეზისტენტული მუტაციების სიხშირე იყო დაბალი. ჩვენს კვლევაში მხოლოდ 2 პაციენტს აღმოაჩნდა PI მუტაციები. ამათგან, ერთ-ერთი პაციენტი ნელფინავირის შემცველ მკურნალობას იღებდა 2000 წელს. ამ დროისათვის აივ-ის გენოტიპური რეზისტენტობის ტესტი არ იყო ხელმისაწვდომი და რეზისტენტობის აღმოჩენა მოხერხდა მკურნალობიდან მხოლოდ რამოდენიმე წლის შემდეგ. მეორე პაციენტი იმყოფებოდა ლოპინავირის შემცველ ართ რეჟიმზე, როგორც მკურნალობის პირველი რიგის რეჟიმზე. 2013 წლის ბოლოსათვის ანტირეტროვირუსულ მკურნალობაზე მყოფი პაციენტების 13% იღებდა PI პრეპარატებს და რეზისტენტობის განვითარების მხოლოდ ერთი შემთხვევა მიუთითებს, რომ შეზღუდული რესურსების ქვეყნებში PI პრეპარატები შეიძლება განხილულ იქნას მკურნალობის პირველ ვარიანტად.

ჩვენს მიერ რეზისტენტობის პროფილის/სურათის შეფასებას გააჩნია გარკვეული შეზღუდვები. კერძოდ, კვლევაში ჩართული იყო არა სუბტიპ A-ს მხოლოდ 26 სინჯი. ამან შეასუსტა სტატისტიკური სიმძლავრე შედარებისა და განზოგადებისათვის. მეორეს მხრივ, აღსანიშნავია, რომ კვლევაში ჩართული იყო აივ რეზისტენტობის ყველა შემთხვევა და ზემოთ აღნიშნული არ იყო განპირობებული შერჩევის ცდომილებით. ამ შეზღუდვის მიუხედავად კვლევის შედეგებს დიდი მნიშვნელობა აქვს კლინიცისტებისა და პროგრამის მენეჯერებისათვის.

2006-2008 და 2011-2013 წლების არანამკურნალები პაციენტების სინჯების ანალიზმა აჩვენა, რომ გადაცემული რეზისტენტობის მაჩვენებელი საქართველოში რჩება დაბალი. 2006-2008 წლის არანამკურნალებ პაციენტებში პირველადი რეზისტენტობის კვლევაში რეზისტენტული მუტაციები აღმოაჩნდა 2.38%-ში, 2011-2013



წლის არანამკურნელებ პაციენტებში პირველადი რეზისტენტობის კვლევაში კი - 2.17%. ეს შედეგი მიუთითებს ქვეყანაში არც მკურნალობის მიწოდების მოდელის ეფექტურობაზე, რომელიც უზრუნველყოფს მკურნალობაზე მყოფ პაციენტებში რეზისტენტობის განვითარების და აივ-ის რეზისტენტული შტამების შემდგომი გადაცემის პრევენციას.

ჩვენი კვლევა კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ საქართველოში ყველაზე გავრცელებულ აივ-ის A სუბტიპს გააჩნია რეზისტენტობის მისთვის გამახასიათებელი განსაკუთრებული პროფილი/სურათი. სუბტიპ A-ში მწირია ინფორმაცია PI რეზისტენტობის შესახებ.

## **დასკვნები და პრაქტიკული რეკომენდაციები**

### **დასკვნა 1**

2006-2013 წწ. პერიოდში საქართველოში აივ-1-ის მოლეკულური ეპიდემიოლოგიის შესწავლამ აჩვენა, რომ აივ-1-ის A სუბტიპი რჩება ვირუსის ყველაზე გავრცელებულ სუბტიპად (89.4%). მართალია ერთეულ შემთხვევებში, მაგრამ გამოჩნდა აივ-1-ის ისეთი სუბტიპები, რომლებიც საქართველოში ადრე არ ყოფილა აღწერილი.

### **რეკომენდაცია 1.1**

აუცილებელია გაგრძელდეს აივ-1-ის მოლეკულური ეპიდემიოლოგიის კვლევა საქართველოში, რათა მუდმივად მოხდეს ქვეყანაში აივ-1-ის სუბტიპების გავრცელების ტენდენციის კონტროლი.

### **რეკომენდაცია 1.2**

განალიზებული აივ-ის დნმ-ის ყოველი სექვენსი უნდა დაემატოს „GeneBank“-ს რათა ხელმისაწვდომი იყოს მეცნიერებისათვის მსოფლიოს მასშტაბით გლობალური მდგომარეობისა და ტენდენციების შეფასებისათვის.

### **დასკვნა 2**

ნარკოტიკების ინიექციური მოხმარების და ჰეტეროსექსუალური კონტაქტის გზით გავრცელებულ ეპიდემიას შორის არსებობს მჭიდრო კავშირი, ხოლო MSM ეპიდემია

დამოუკიდებლად ვითარდება. ნარკოტიკების ინიექციურ მომხმარებლებში და ჰეტეროსექსუალური კონტაქტის გზით ინფიცირებულ პირებში გავრცელებულია აივ-1-ის სუბტიპი A, ხოლო MSM-ებში - გავრცელებულია სუბტიპი B.

### ***რეკომენდაცია 2.1***

რისკ ჯგუფებში სწორი მიზანმიმართული პრევენციული ჩარევის ზომების დანერგვისათვის აუცილებელია გაგრძელდეს აივ-1-ის ახალი შემთხვევების ფილოგენეტიკური ანალიზი და "გადაცემის კლასტერების" შესწავლა.

### **დასკვნა 3**

საქართველოში ანტირეტროვირუსული პრეპარატებით არანამკურნალებ პაციენტებში პირველადი/გადაცემული რეზისტენტობის გავრცელების მაჩვენებელი სტაბილურად დაბალია (< 5 %): 2006-2008 წწ. იყო 2.38%, 2011-2013 წწ. - 2.17%; რაც მიუთითებს ქვეყანაში არც მკურნალობის მიწოდების მოდელის ეფექტურობაზე, რომელიც უზრუნველყოფს მკურნალობაზე მყოფ პაციენტებში რეზისტენტობის განვითარების და აივ-ის რეზისტენტული შტამების შემდგომი გადაცემის პრევენციას.

### ***რეკომენდაცია 3.1***

საქართველოში არც პრეპარატებით არანამკურნალებ პაციენტებში პირველადი რეზისტენტობის გავრცელების დაბალი მაჩვენებლის (< 5 %) გამო სადღეისოდ აუცილებლობას არ წარმოადგენს ასეთ პაციენტებში მკურნალობის დაწყებამდე ძვირად ღირებული გენოტიპური რეზისტენტობის ტესტის ჩატარება.

### ***რეკომენდაცია 3.2***

აივ-1 რეზისტენტობის აღმოცენებისა და შემდგომი გავრცელების პრევენციის მიზნით აუცილებელია გაგრძელდეს აივ-1 რეზისტენტობის ზედამხედველობის კვლევები.

### **დასკვნა 4.**

საქართველოში ყველაზე მეტად გავრცელებული აივ-1-ის A სუბტიპისათვის დამახასიათებელია არც პრეპარატებისადმი რეზისტენტობის ორიგინალური პროფილი. NNRTI მუტაციები G190S და K101E მნიშვნელოვნად უფრო ხშირად გვხვდება აივ-1-ის სუბტიპ A-ში, ვიდრე სხვა სუბტიპებში. სუბტიპ A-ში მუტაცია K101E თითქმის

ექსკუზიურად გვხვდება მხოლოდ მუტაცია G190S-თან ერთად. ასევე მნიშვნელოვანი და სუბტიპ A -სათვის სპეციფიურია ამ ორ მუტაციასთან ერთად მუტაცია Y181C -ის გამოჩენა. აღნიშნული მუტაციების ერთდოული არსებობა მნიშვნელოვნად ზღუდავს NNRTI პრეპარატების გამოყენების შესაძლებლობას NNRTI კლასის არც პრეპარატებით ადრე ნამკურნალებ აივ-1-ის A სუბტიპით ინფიცირებულ პაციენტებში.

#### ***რეკომენდაცია 4.1***

საქართველოში ყველაზე მეტად გავრცელებული აივ-1-ის A სუბტიპისათვის დამახასიათებელი არც პრეპარატებისადმი რეზისტენტობის ორიგინალური პროფილი გათვალისწინებული უნდა იქნას არც მკურნალობის ოპტიმალური რეჟიმის შერჩევისათვის.

#### ***რეკომენდაცია 4.2***

იმის გათვალისწინებით, რომ არც პრეპარატებისადმი რეზისტენტობის პროფილი განსხვავებულია აივ-ის სხვადასხვა სუბტიპში და მსოფლიოში ჩატარებული რეზისტენტობის კვლევების უმრავლესობა ეხება აივ-ის B სუბტიპს, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია არა B სუბტიპის ვირუსის ყოველი გაანალიზებული დნმ-ის სექვენსი დაემატოს „GeneBank“-ს და გახდეს ხელმისაწვდომი მეცნიერებისათვის მსოფლიოს მასშტაბით. აღნიშნულის საშუალებით შესაძლებელი იქნება ჩვენი შედეგები გათვალისწინებული იქნას ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციისა (WHO) და შიდსის საერთაშორისო ასოციაციის (IAS) მიერ აივ-ის მუტაციების ახალი სიების შედგენისა, რეზისტენტობის ტესტირების და აივ/შიდსის მკურნალობის ახალი გაიდლაინების შემუშავების დროს.

## გამოყენებული ლიტერატურა

- Abecasis, A. B., Wensing, A. M., Paraskevis, D., Vercauteren, J., Theys, K., Van de Vijver, D. A., . . . Vandamme, A. M. (2013). HIV-1 subtype distribution and its demographic determinants in newly diagnosed patients in Europe suggest highly compartmentalized epidemics. *Retrovirology*, *10*, 7.
- Abram, M. E., Ferris, A. L., Shao, W., Alvord, W. G., & Hughes, S. H. (2010). Nature, position, and frequency of mutations made in a single cycle of HIV-1 replication. *J Virol*, *84*(19), 9864-9878.
- Agresti, A. (1996). *An introduction to categorical data analysis*. New York: Wiley.
- Allan, J. S., Coligan, J. E., Barin, F., McLane, M. F., Sodroski, J. G., Rosen, C. A., . . . Essex, M. (1985). Major glycoprotein antigens that induce antibodies in AIDS patients are encoded by HTLV-III. *Science*, *228*(4703), 1091-1094.
- Allen, T. M., O'Connor, D. H., Jing, P., Dzuris, J. L., Mothe, B. R., Vogel, T. U., . . . Watkins, D. I. (2000). Tat-specific cytotoxic T lymphocytes select for SIV escape variants during resolution of primary viraemia. *Nature*, *407*(6802), 386-390.
- Archer, J., Pinney, J. W., Fan, J., Simon-Loriere, E., Arts, E. J., Negroni, M., & Robertson, D. L. (2008). Identifying the important HIV-1 recombination breakpoints. *PLoS Comput Biol*, *4*(9), e1000178.
- Archer, J., & Robertson, D. L. (2007). Understanding the diversification of HIV-1 groups M and O. *AIDS*, *21*(13), 1693-1700. doi: 10.1097/QAD.0b013e32825eabd0
- Artenstein, A. W., VanCott, T. C., Mascola, J. R., Carr, J. K., Hegerich, P. A., Gaywee, J., . . . et al. (1995). Dual infection with human immunodeficiency virus type 1 of distinct envelope subtypes in humans. *J Infect Dis*, *171*(4), 805-810.
- Assoumou, L., Descamps, D., Yerly, S., Dos Santos, G., Marcelin, A. G., Delaugerre, C., . . . Masquelier, B. (2013). Prevalence of HIV-1 drug resistance in treated patients with viral load >50 copies/mL in 2009: a French nationwide study. *J Antimicrob Chemother*, *68*(6), 1400-1405.

- Balotta, C., Facchi, G., Violin, M., Van Dooren, S., Cozzi-Lepri, A., Forbici, F., . . . Moroni, M. (2001). Increasing prevalence of non-clade B HIV-1 strains in heterosexual men and women, as monitored by analysis of reverse transcriptase and protease sequences. *J Acquir Immune Defic Syndr*, *27*(5), 499-505.
- Baltimore, D. (1971). Expression of animal virus genomes. *Bacteriol Rev*, *35*(3), 235-241.
- Bannister, W. P., Cozzi-Lepri, A., Kjaer, J., Clotet, B., Lazzarin, A., Viard, J. P., . . . Phillips, A. (2011). Estimating prevalence of accumulated HIV-1 drug resistance in a cohort of patients on antiretroviral therapy. *J Antimicrob Chemother*, *66*(4), 901-911.
- Barre-Sinoussi, F., Chermann, J. C., Rey, F., Nugeyre, M. T., Chamaret, S., Gruest, J., . . . Montagnier, L. (1983). Isolation of a T-lymphotropic retrovirus from a patient at risk for acquired immune deficiency syndrome (AIDS). *Science*, *220*(4599), 868-871.
- Barth, R. E., van der Loeff, M. F., Schuurman, R., Hoepelman, A. I., & Wensing, A. M. (2010). Virological follow-up of adult patients in antiretroviral treatment programmes in sub-Saharan Africa: a systematic review. *Lancet Infect Dis*, *10*(3), 155-166.
- Beemon, K., Duesberg, P., & Vogt, P. (1974). Evidence for crossing-over between avian tumor viruses based on analysis of viral RNAs. *Proc Natl Acad Sci US A*, *71*(10), 4254-4258.
- Beyrer, C., Sullivan, P., Sanchez, J., Baral, S. D., Collins, C., Wirtz, A. L., . . . Mayer, K. (2013). The increase in global HIV epidemics in MSM. *AIDS*, *27*(17), 2665-2678.
- Blower, S. M., Aschenbach, A. N., Gershengorn, H. B., & Kahn, J. O. (2001). Predicting the unpredictable: transmission of drug-resistant HIV. *Nat Med*, *7*(9), 1016-1020.
- Bobkova, M. (2013). Current status of HIV-1 diversity and drug resistance monitoring in the former USSR. *AIDS Rev*, *15*(4), 204-212.
- Borroto-Esoda, K., Waters, J. M., Bae, A. S., Harris, J. L., Hinkle, J. E., Quinn, J. B., & Rousseau, F. S. (2007). Baseline genotype as a predictor of virological failure to emtricitabine or stavudine in combination with didanosine and efavirenz. *AIDS Res Hum Retroviruses*, *23*(8), 988-995.
- Brenner, B., Turner, D., Oliveira, M., Moisi, D., Detorio, M., Carobene, M., . . . Wainberg, M. A. (2003). A V106M mutation in HIV-1 clade C viruses exposed to efavirenz confers cross-resistance to non-nucleoside reverse transcriptase inhibitors. *AIDS*, *17*(1), F1-5.

- Buonaguro, L., Tornesello, M. L., & Buonaguro, F. M. (2007). Human immunodeficiency virus type 1 subtype distribution in the worldwide epidemic: pathogenetic and therapeutic implications. *J Virol*, *81*(19), 10209-10219.
- Center for Disease Control and Prevention (CDC). (1981a). Kaposi's sarcoma and Pneumocystis pneumonia among homosexual men--New York City and California. *MMWR Morb Mortal Wkly Rep*, *30*(25), 305-308.
- Center for Disease Control and Prevention (CDC). (1981b). Pneumocystis pneumonia--Los Angeles. *MMWR Morb Mortal Wkly Rep*, *30*(21), 250-252.
- Chkhartishvili, N., McNutt, L. A., Smith, P. F., & Tsertsvadze, T. (2011). Characteristics of HIV-infected women and factors associated with HCV seropositivity in the Republic of Georgia. *AIDS Res Ther*, *8*(1), 25.
- Choisy, M., Woelk, C. H., Guegan, J. F., & Robertson, D. L. (2004). Comparative study of adaptive molecular evolution in different human immunodeficiency virus groups and subtypes. *J Virol*, *78*(4), 1962-1970.
- Coffin, J. M., Hughes, S. H., & Varmus, H. E. (1997). The Interactions of Retroviruses and their Hosts.
- Cozzi-Lepri, A., Paredes, Phillips, A. N., Clotet, B., Kjaer, J., Von Wyl, V., . . . Lundgren, J. D. (2012). The rate of accumulation of nonnucleoside reverse transcriptase inhibitor (NNRTI) resistance in patients kept on a virologically failing regimen containing an NNRTI\*. *HIV Med*, *13*(1), 62-72. doi: 10.1111/j.1468-1293.2011.00943.x
- D'Aquila, R. T., Johnson, V. A., Welles, S. L., Japour, A. J., Kuritzkes, D. R., DeGruttola, V., . . . Richman, D. D. (1995). Zidovudine resistance and HIV-1 disease progression during antiretroviral therapy. AIDS Clinical Trials Group Protocol 116B/117 Team and the Virology Committee Resistance Working Group. *Ann Intern Med*, *122*(6), 401-408.
- Dennis, A. M., Hue, S., Hurt, C. B., Napravnik, S., Sebastian, J., Pillay, D., & Eron, J. J. (2012). Phylogenetic insights into regional HIV transmission. *AIDS*, *26*(14), 1813-1822.
- Douek, D. C., Roederer, M., & Koup, R. A. (2009). Emerging concepts in the immunopathogenesis of AIDS. *Annu Rev Med*, *60*, 471-484.

- Dvali, N., Parker, M. M., Chkhartishvili, N., Sharvadze, L., Gochitashvili, N., Abutidze, A., . . . Tsertsvadze, T. (2012). Characterization of HIV-1 subtypes and drug resistance mutations among individuals infected with HIV in Georgia. *J Med Virol*, *84*(7), 1002-1008. doi: 10.1002/jmv.23269
- Easterbrook, P. J., Smith, M., Mullen, J., O'Shea, S., Chrystie, I., de Ruiter, A., . . . Zuckerman, M. (2010). Impact of HIV-1 viral subtype on disease progression and response to antiretroviral therapy. *J Int AIDS Soc*, *13*, 4.
- Este, J. A., & Telenti, A. (2007). HIV entry inhibitors. *Lancet*, *370*(9581), 81-88.
- Esteves, A., Parreira, R., Piedade, J., Venenno, T., Franco, M., Germano de Sousa, J., . . . Canas-Ferreira, W. F. (2003). Spreading of HIV-1 subtype G and envB/gagG recombinant strains among injecting drug users in Lisbon, Portugal. *AIDS Res Hum Retroviruses*, *19*(6), 511-517.
- Fauci, A. S., Kasper, D.L., Braunwald, E., Hauser, S.L., Longo, D.L., Jameson, J.L., Loscalzo, J. (2008). *Harrison's Principles of Internal Medicine, 17th Edition*.
- Fay, H., Baral, S. D., Trapence, G., Motimedi, F., Umar, E., Iipinge, S., . . . Beyrer, C. (2011). Stigma, health care access, and HIV knowledge among men who have sex with men in Malawi, Namibia, and Botswana. *AIDS Behav*, *15*(6), 1088-1097.
- Fischl, M. A., Richman, D. D., Grieco, M. H., Gottlieb, M. S., Volberding, P. A., Laskin, O. L., . . . et al. (1987). The efficacy of azidothymidine (AZT) in the treatment of patients with AIDS and AIDS-related complex. A double-blind, placebo-controlled trial. *N Engl J Med*, *317*(4), 185-191.
- Fischl, M. A., Richman, D. D., Hansen, N., Collier, A. C., Carey, J. T., Para, M. F., . . . et al. (1990). The safety and efficacy of zidovudine (AZT) in the treatment of subjects with mildly symptomatic human immunodeficiency virus type 1 (HIV) infection. A double-blind, placebo-controlled trial. The AIDS Clinical Trials Group. *Ann Intern Med*, *112*(10), 727-737.
- Frey, G., Chen, J., Rits-Volloch, S., Freeman, M. M., Zolla-Pazner, S., & Chen, B. (2010). Distinct conformational states of HIV-1 gp41 are recognized by neutralizing and non-neutralizing antibodies. *Nat Struct Mol Biol*, *17*(12), 1486-1491.

- Galli, A., Kearney, M., Nikolaitchik, O. A., Yu, S., Chin, M. P., Maldarelli, F., . . . Hu, W. S. (2010). Patterns of Human Immunodeficiency Virus type 1 recombination ex vivo provide evidence for coadaptation of distant sites, resulting in purifying selection for intersubtype recombinants during replication. *J Virol*, *84*(15), 7651-7661.
- Gallo, R. C., Sarin, P. S., Gelmann, E. P., Robert-Guroff, M., Richardson, E., Kalyanaraman, V. S., . . . Popovic, M. (1983). Isolation of human T-cell leukemia virus in acquired immune deficiency syndrome (AIDS). *Science*, *220*(4599), 865-867.
- Georgia Country report for the Global AIDS Response Progress Reporting*. (2014). Tbilisi.
- Geretti, A. M. (2006). HIV-1 subtypes: epidemiology and significance for HIV management. *Curr Opin Infect Dis*, *19*(1), 1-7.
- Geretti, A. M., Harrison, L., Green, H., Sabin, C., Hill, T., Fearnhill, E., . . . Dunn, D. (2009). Effect of HIV-1 subtype on virologic and immunologic response to starting highly active antiretroviral therapy. *Clin Infect Dis*, *48*(9), 1296-1305.
- Grossman, Z., Istomin, V., Averbuch, D., Lorber, M., Risenberg, K., Levi, I., . . . Schapiro, J. M. (2004). Genetic variation at NNRTI resistance-associated positions in patients infected with HIV-1 subtype C. *AIDS*, *18*(6), 909-915.
- Gulick, R. M., Mellors, J. W., Havlir, D., Eron, J. J., Gonzalez, C., McMahon, D., . . . Chodakewitz, J. A. (1997). Treatment with indinavir, zidovudine, and lamivudine in adults with human immunodeficiency virus infection and prior antiretroviral therapy. *N Engl J Med*, *337*(11), 734-739.
- Gupta, R., Hill, A., Sawyer, A. W., & Pillay, D. (2008). Emergence of drug resistance in HIV type 1-infected patients after receipt of first-line highly active antiretroviral therapy: a systematic review of clinical trials. *Clin Infect Dis*, *47*(5), 712-722.
- Hall, T. (2013). BioEdit version 7.2.5
- Hammer, S. M., Katzenstein, D. A., Hughes, M. D., Gundacker, H., Schooley, R. T., Haubrich, R. H., . . . Merigan, T. C. (1996). A trial comparing nucleoside monotherapy with combination therapy in HIV-infected adults with CD4 cell counts from 200 to 500 per cubic millimeter. AIDS Clinical Trials Group Study 175 Study Team. *N Engl J Med*, *335*(15), 1081-1090.



- Hammer, S. M., Squires, K. E., Hughes, M. D., Grimes, J. M., Demeter, L. M., Currier, J. S., . . . Fischl, M. A. (1997). A controlled trial of two nucleoside analogues plus indinavir in persons with human immunodeficiency virus infection and CD4 cell counts of 200 per cubic millimeter or less. AIDS Clinical Trials Group 320 Study Team. *N Engl J Med*, *337*(11), 725-733.
- Harris, M. E., Serwadda, D., Sewankambo, N., Kim, B., Kigozi, G., Kiwanuka, N., . . . McCutchan, F. E. (2002). Among 46 near full length HIV type 1 genome sequences from Rakai District, Uganda, subtype D and AD recombinants predominate. *AIDS Res Hum Retroviruses*, *18*(17), 1281-1290.
- Hemelaar, J., Gouws, E., Ghys, P. D., & Osmanov, S. (2006). Global and regional distribution of HIV-1 genetic subtypes and recombinants in 2004. *AIDS*, *20*(16), W13-23.
- Herring, B. L., Ge, Y. C., Wang, B., Ratnamohan, M., Zheng, F., Cunningham, A. L., . . . Dwyer, D. E. (2003). Segregation of human immunodeficiency virus type 1 subtypes by risk factor in Australia. *J Clin Microbiol*, *41*(10), 4600-4604.
- Hill, C. P., Worthylake, D., Bancroft, D. P., Christensen, A. M., & Sundquist, W. I. (1996). Crystal structures of the trimeric human immunodeficiency virus type 1 matrix protein: implications for membrane association and assembly. *Proc Natl Acad Sci U S A*, *93*(7), 3099-3104.
- Hinz, A., Miguet, N., Natrajan, G., Usami, Y., Yamanaka, H., Renesto, P., . . . Weissenhorn, W. (2010). Structural basis of HIV-1 tethering to membranes by the BST-2/tetherin ectodomain. *Cell Host Microbe*, *7*(4), 314-323.
- HIVDB. (2013). <http://hivdb.stanford.edu/>
- Ho, D. D., Neumann, A. U., Perelson, A. S., Chen, W., Leonard, J. M., & Markowitz, M. (1995). Rapid turnover of plasma virions and CD4 lymphocytes in HIV-1 infection. *Nature*, *373*(6510), 123-126.
- Hoffmann, C., Rockstroh, J.K (2012). *HIV 2012/2013*.
- Hogg, R. S., Bangsberg, D. R., Lima, V. D., Alexander, C., Bonner, S., Yip, B., . . . Harrigan, P. R. (2006). Emergence of drug resistance is associated with an increased risk of death among patients first starting HAART. *PLoS Med*, *3*(9), e356.

- Hosseinipour, M. C., Gupta, R. K., Van Zyl, G., Eron, J. J., & Nachega, J. B. (2013). Emergence of HIV drug resistance during first- and second-line antiretroviral therapy in resource-limited settings. *J Infect Dis*, *207 Suppl 2*, S49-56.  
<http://www.hiv.lanl.gov/content/sequence/HIV/MAP/landmark.html>  
<http://www.hiv.lanl.gov/content/sequence/HIV/MAP/landmark.html>
- Hu, W. S., & Temin, H. M. (1990). Genetic consequences of packaging two RNA genomes in one retroviral particle: pseudodiploidy and high rate of genetic recombination. *Proc Natl Acad Sci U S A*, *87*(4), 1556-1560.
- Hue, S., Brown, A. E., Ragonnet-Cronin, M., Lycett, S. J., Dunn, D. T., Fearnhill, E., . . . Leigh Brown, A. J. (2014). Phylogenetic analyses reveal HIV-1 infections between men misclassified as heterosexual transmissions. *AIDS*, *28*(13), 1967-1975.
- Hue, S., Clewley, J. P., Cane, P. A., & Pillay, D. (2004). HIV-1 pol gene variation is sufficient for reconstruction of transmissions in the era of antiretroviral therapy. *Aids*, *18*(5), 719-728.
- Huthoff, H., Autore, F., Gallois-Montbrun, S., Fraternali, F., & Malim, M. H. (2009). RNA-dependent oligomerization of APOBEC3G is required for restriction of HIV-1. *PLoS Pathog*, *5*(3), e1000330.
- Japour, A. J., Welles, S., D'Aquila, R. T., Johnson, V. A., Richman, D. D., Coombs, R. W., . . . Kuritzkes, D. R. (1995). Prevalence and clinical significance of zidovudine resistance mutations in human immunodeficiency virus isolated from patients after long-term zidovudine treatment. AIDS Clinical Trials Group 116B/117 Study Team and the Virology Committee Resistance Working Group. *J Infect Dis*, *171*(5), 1172-1179.
- Jern, P., Russell, R. A., Pathak, V. K., & Coffin, J. M. (2009). Likely role of APOBEC3G-mediated G-to-A mutations in HIV-1 evolution and drug resistance. *PLoS Pathog*, *5*(4), e1000367.
- Jetzt, A. E., Yu, H., Klarmann, G. J., Ron, Y., Preston, B. D., & Dougherty, J. P. (2000). High rate of recombination throughout the human immunodeficiency virus type 1 genome. *J Virol*, *74*(3), 1234-1240.

- Karlsson, A. C., Iversen, A. K., Chapman, J. M., de Oliveira, T., Spotts, G., McMichael, A. J., . . . Nixon, D. F. (2007). Sequential broadening of CTL responses in early HIV-1 infection is associated with viral escape. *PLoS One*, *2*(2), e225.
- Keele, B. F., & Derdeyn, C. A. (2009). Genetic and antigenic features of the transmitted virus. *Curr Opin HIV AIDS*, *4*(5), 352-357.
- Keele, B. F., Van Heuverswyn, F., Li, Y., Bailes, E., Takehisa, J., Santiago, M. L., . . . Hahn, B. H. (2006). Chimpanzee reservoirs of pandemic and nonpandemic HIV-1. *Science*, *313*(5786), 523-526.
- Kolomeets, A. N., Varghese, V., Lemey, P., Bobkova, M. R., & Shafer, R. W. (2014). A uniquely prevalent nonnucleoside reverse transcriptase inhibitor resistance mutation in Russian subtype A HIV-1 viruses. *AIDS*.
- Kozal, M. J., Shafer, R. W., Winters, M. A., Katzenstein, D. A., & Merigan, T. C. (1993). A mutation in human immunodeficiency virus reverse transcriptase and decline in CD4 lymphocyte numbers in long-term zidovudine recipients. *J Infect Dis*, *167*(3), 526-532.
